პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 172 (9640) | ხუთშაბათი, 23 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

პარტიული ჯგუფები — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
საფლეიტონო თემაზე. — ჩაის ხარისხის გამსაზღვრელი (მე-2 გვერდი).
პარტიულ თემაზე. — **ვ. გელაშვილი.** — პარტიული ხელმძღვანელობა — კომკავშირს (მე-2 გვერდი).
ვ. სანაკოევი. — პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნა — მასებში (მე-2 გვერდი).
ხალხთა მეგობრობის დროშით. — **გ. ცაბაძე.** — ორი მოძმე რესპუბლიკის მეცნიერთა თანამეგობრობა. **ს. გრიგორიანი.** — სომეხ და ქართველ ჩარხმშენებელთა მეჯიბრება (მე-2 გვერდი).
წერილები რედაქციას. — **ქ. გიორგაძე.** — მეტი ყურადღება მილიციის საბავშვო ოთახებს (მე-2 გვერდი).
ა. თომაძე. — ლექსებს [illegible]
ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი. — [illegible] ზე! (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
თბილისი (მე-4 გვერდი).
სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

პარტიული ჯგუფები

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ამ დღეებში კომუნისტთა განსაკუთრებული ერთსულოვნების ვითარებაში გაიმართა პარტიული კომიტეტების პლენუმები აქტივთან ერთად; ამჟამად მიმდინარეობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების განხილვისადმი. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა, პარტიული კომიტეტების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესება და სრულყოფა, პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების ურყევად შესრულება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღება, მოღალატე ბერიას დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიპარტიული საქმიანობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაცია.

ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული პარტიული ჯგუფების მუშაობის უნარიანად მოწყობაზე. პარტიული ჯგუფი პირველადი პარტიული ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილია და მისი ხელმძღვანელობით მუშაობს. იგი მოწოდებულია განუმარტოს მასებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები, დაეხმაროს მათ კომუნისტურად აღზრდაში, უზრუნველყოს საწარმოო დავალების შესრულება თავის ბრიგადაში ან უბანზე.

პარტიული ჯგუფის ძალა კომუნისტთა ორგანიზებულობასა და აქტივობაშია. და სწორედ იმიტომ, რომ იგი ყველაზე ახლოს დგას კომუნისტებთან და უპარტიოებთან, უფრო ნათლად ხედავს ყოველი ადამიანის ღირსებებსა და სუსტ მხარეებს, შეესაძლებლობა აქვს გავლენა მოახდინოს მუშაობის მსვლელობაზე, სწრაფად შეამჩნიოს და გააკრიტიკოს ყოველივე ახალი და საუკეთესო, ამხილოს ნაკლოვანებანი და იბრძოლოს მათ აღმოსაფხვრელად. პარტიულმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა კომუნისტი იმაღლებდეს თავისი მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონეს, ასრულებდეს ავანგარდულ როლს მუშაობაში და არ ითმენდეს უპასუხისმგებლობას, უნიათობასა და უყაირათობას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიული ჯგუფები დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ როლს ასრულებენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. ორმოცდაათზე მეტი პარტიული ჯგუფია, მაგალითად, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ისინი თავიანთი გავლენით მოიცავენ ქარხნის მთელი კოლექტივის ცხოვრებას, გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან მშრომელთა შორის, იბრძვიან იმისათვის, რომ თვითეულმა ბრიგადამ და უბანმა შეასრულოს საწარმოო გეგმა.

დიდ როლს ასრულებენ პარტიული ჯგუფები სოფლად, საკოლმეურნეო წარმოებაშიც. კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით ბევრ ბრიგადასა და მეცხოველეობის ფერმაში შესაძლებელი გახდა პარტიული ჯგუფების შექმნა. ამან ხელი შეუწყო საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, ამ ორგანიზაციებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას. მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში შექმნილია პარტიული ჯგუფები. ისინი სათავეში უდგანან კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებას ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეექვსე ბრიგადის პარტიული ჯგუფის უნარიანი მუშაობა. პარტჯგუფორგი ნ. შარაძე პარტიული ჯგუფის კრებაზე სისტემატურად აწყობს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, უნარიანად ხელმძღვანელობს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მეჩაიე კოლმეურნეთა შორის. აქ ყველა კომუნისტი საკოლმეურნეო წარმოების ავანგარდშია და სტახანოვური შრომით მაგალითს უჩვენებს უპარტიოებს. პარტიული ჯგუფის ასეთი საქმიანობა ეხმარება ბრიგადას წარმატებით შეასრულოს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები.

ბევრგან ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ პარტიულ ჯგუფებს, ცოცხალ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ მათ, იწვევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგანიზატორების სემინარებს, განუმარტავენ მათ პარტიული ჯგუფების უფლება-მოვალეობასა და ამოცანებს.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა ყველგან მოწოდების სიმაღლეზე დგას. აბაშის, შუახევის და მთელი რიგი სხვა რაიონების პარტიული ორგანიზაციებიდან რედაქციას მოსდის წერილები, რომლებშიც მოითხოვენ განვუმარტოთ პარტიული ჯგუფების ორგანიზაციული მუშაობის თვით ელემენტარული საკითხებიც კი. ეს მოწმობს, რომ ბევრგან პარტიული კომიტეტები ნაკლებად ზრუნავენ პარტჯგუფორგების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სისტემატურ ინსტრუქტაჟს არ უწევენ მათ, არ ასწავლიან, როგორ მოაწყონ პარტიული ჯგუფების მუშაობა. იშვიათი როდია, როცა საკოლმეურნეო ბრიგადებში პარტიული ჯგუფები ფორმალურად არის შექმნილი და სინამდვილეში არავითარ საქმიანობას არ ეწევიან. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობაში. აქ თვეების განმავლობაში არ იწვევენ პარტიული ჯგუფების კრებებს. ეს იმით აიხსნება, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტიის რაიონული კომიტეტი სუსტად ეხმარებიან პარტჯგუფორგანიზატორებს, არ მართავენ მათთვის საინსტრუქტაჟო თათბირებს, ყოველდღიურად არ ხელმძღვანელობენ და არ წარმართავენ პარტიულ ჯგუფებს.

პარტიული ჯგუფის ბრძოლისუნარიანობა, მისი საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული თვით პარტჯგუფორგანიზატორზე. ამას ნათლად ადასტურებს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის პარტიული ჯგუფის მუშაობის მაგალითი. შარშან ამ პარტიულ ჯგუფს გ. სესიაშვილი ხელმძღვანელობდა. იგი არ იწვევდა პარტიული ჯგუფის კრებებს, ყურადღებას არ აქცევდა კოლმეურნეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას. ამასთან თვითონაც საკოლმეურნეო შრომაში კარგ მაგალითს არ იძლეოდა. წელს გაზაფხულზე პარტჯგუფორგანიზატორად მოწინავე კომუნისტი შ. ჯოხაძე აირჩიეს. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს, სისტემატურად იწვევს პარტიული ჯგუფის კრებებს, რომლებზეც განიხილავენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, შრომის დისციპლინის მდგომარეობის, ვენახების დამუშავების მიმდინარეობის საკითხებს. პარტიული ჯგუფი ზრუნავს მევენახე კოლმეურნეთა შორის საგაზეთ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებისათვის. ბრიგადა ენერგიულად იბრძვის, რომ წელს საშუალოდ ჰექტარ ვენახში 52 ცენტნერის ნაცვლად 70 ცენტნერი ყურძენი მიიღოს.

პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროების ამოცანაა ყოველნაირად გააძლიერონ პარტიული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, უზრუნველყონ პარტჯგუფორგების სწორად შერჩევა და სისტემატური სწავლება. ამასთან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოწინავე პარტიული ჯგუფების გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას.

პარტიული ჯგუფები დიდი ძალაა პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამოცანა ის არის, რომ შემდგომ გავუმჯობესოთ პარტიული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა, ავამაღლოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, რაც სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო პროფესორი იკუო ოიამა

22 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იაპონიის საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი იკუო ოიამა.

კორეის ახალგაზრდობის დელეგაცია მოსკოვში

ამა წლის 20 ივლისს მოსკოვში გავლით იმყოფებოდა ახალგაზრდობის III მსოფლიო კონგრესზე და ახალგაზრდებისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალზე მიმავალი კორეის დელეგატთა ჯგუფი კიმ კი სუს მეთაურობით. დელეგატთა ჯგუფმა გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმის კვარცხლბეკი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

გორის რაიონში

აშრომენ ჰაოგებს

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს ახალი ფართობების ასათვისებლად. ამ დღეებში აქ დამთავრდა ჭაობების დასაშრობი მთავარი მაგისტრალური არხის გაჭრა, რაც უზრუნველყოფს 60 ჰექტარი ფართობის ათვისებას.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

1944 წლიდან დღემდე გორის რაიონში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარების სახით მიეცა 13 მილიონზე მეტი მანეთი. მარტო წელს მრავალშვილიან დედებს მიეცათ 660 ათასი მანეთი. სოფელ ბოშურის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ათი შვილის დედამ ნატალია ჯუკაშვილმა სახელმწიფოსაგან მიიღო 26.650 მანეთი, ზედდულეთელმა კოლმეურნემ, თერმეტი შვილის დედამ სოფიო გუცაშვილმა — 39.000 მანეთი და ა. შ.

რაიონში არის 16 გმირი დედა. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 2.176 მრავალშვილიანი დედა.

ახალი მშენებლობანი

რაიონის კოლმეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს ახალი მშენებლობანი. ტინისხიდის, ზედდულეთის და ქვაბურეთის კოლმეურნეობებში აშენდა მარცვლეულის ტიპური საწყობები. თვითეული საწყობი 500 ტონა მარცვლეულს იტევს. უახლეს ხანში ტიპური საწყობების მშენებლობას დაამთავრებენ ატენის და ნიქოზის კოლმეურნეობებში. თხუთმეტ კოლმეურნეობაში მიმდინარეობს მექანიზებული ბოსლის მშენებლობა. მერეთში დამთავრდა, ხოლო კარბის, თორტიზის, ბერბუკის და საყვარის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ფარეხების მშენებლობა. საღორეები შენდება 8 კოლმეურნეობაში, საფრინველე — 19 კოლმეურნეობაში.

სოფელ თორტიზაში შენდება 150 მაყურებლისათვის განკუთვნილი კლუბი.

ორმოცი წელი ინჟინრად მაღაროში

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). სტალინის სახელობის მაღაროში ვენტილაციის უფროსად მუშაობს გამოცდილი ინჟინერი ვასილ დავითის-ძე წერეთელი.

ორმოცი წელია ვ. წერეთელი ჭიათურის მაღაროში ინჟინრად მუშაობს. იგი დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის გულმოდგინედ და პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებს. თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას ხალისით უზიარებს ახალგაზრდებს, რიგითს მუშებს. ამიტომ არის, რომ მაღაროელებში მან განსაკუთრებული საყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ვ. წერეთელი მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებების ავტორიცაა. მისი რამდენიმე სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალ-გაზეთებში.

მთათუშეთის გუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივი რესურსების შესწავლელი საბჭო 1952 წლიდან ამუშავებს მდინარეების ალაზან-იორის აუზების და მთათუშეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისების კომპლექსურ პრობლემას.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მუშავდება 24 თემა. შესწავლილ იქნება ამ ადგილების გეოლოგიური აღნაგობა, მევენახეობა-მეღვინეობის, მეცხოველეობის, მარცვლეული კულტურების თესვის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები, აგრეთვე მრეწველობა, მოსახლეობა და სხვ. თემების შესწავლა-დამუშავებაში ჩაბმულია მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტები.

მიმდინარე წლის ოქტომბერში შედეგების პირველი წინასწარი შეჯამებისათვის მოეწყობა გამსვლელი სესია თელავში.

აღებულია 199.734 ჰექტარი პურეული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ცნობებით, 20 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში აღებული იყო 199.734 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. აქედან კომბაინებით მომკილია 166.561 ჰექტარი.

ცალკეული რაიონების მიხედვით პურის მოსავლის აღების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ახალციხის რაიონში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 4,5 პროცენტით, ასპინძის — 0,9, ხაშურის — 18,5, ქარელის — 27,8, გორის 19,7, კასპის — 21,8, ბორჯომის — 1,7, დუშეთის — 11,3, თეთრი წყაროს — 35,3, გურჯაანის — 71,7, კაჭრეთის — 64,9, სიღნაღის — 96,7, წითელწყაროს — 96,4, თელავის — 66,8, ახმეტის — 61,3, ყვარლის — 74,4, ლაგოდეხის — 91,4, თბილისის გარეუბნის — 67,3, მცხეთის — 22,4, გარდაბნის — 77, მარნეულის — 60,9, ბოლნისის — 61, საგარეჯოს — 49,1, დმანისის რაიონში — 1,5, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 2,1 პროცენტით.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 21 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 56,8 პროცენტით, ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 62,6 პროცენტით.

ცალკე რაიონების მიხედვით ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს ივლისის დავალება წინა თვეების დანაკლისს ჩათვლით შესრულებული ჰქონდა 51,6 პროცენტით, ქობულეთის — 63,6, ქედის — 81,8, გალის — 68,7, ოჩამჩირის — 63, გულრიფშის — 65,5, სუხუმის — 101,7, გუდაუთის — 81,5, მახარაძის — 56,8, ჩოხატაურის — 75,2, ლანჩხუთის — 61,8, სამტრედიის — 65,6, წულუკიძის — 45,4, ჭუთაისის — 63,1, წყალტუბოს — 31,6, ტყიბულის — 56,1, ცხაკაიას — 55,2, აბაშის — 49,9, გეგეჭკორის — 70,9, ზუგდიდის — 75,6, წალენჯიხის — 67,1, ჩხოროწყუს — 64,1, ხობის — 62,4, თერჯოლის — 67,5, ხოლო ზესტაფონის რაიონს — 27,2 პროცენტით.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ივლისში, წლიური გეგმის ძირითადად შესრულების ამ გადამწყვეტ თვეში, ჩაის კრეფაში კვლავ მკვეთრად ჩამორჩებიან წყალტუბოს, წულუკიძის, აბაშის, ზესტაფონის რაიონები. ასეთი ჩამორჩენა უმთავრესად გამოწვეულია ჩაის პლანტაციების მოუვლელობით და იმით, რომ ყოველდღიურად არ იკრეფება ფოთოლი, ამის გამო არის დანაკარგები.

ჩაის კრეფაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბათუმის, მახარაძის, ცხაკაიას, ტყიბულის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

თბილისში, მტკვრის სანაპიროებზე

კვლავ განახლდა მუშაობა თბილისში ახალ სანაპირო ქუჩათა საყრდენი კედლების მშენებლობის დასამთავრებლად, რათა ორთაჭალებში ტურბინგენერატორების დამონტაჟებისთანავე კაშხალში ლითონის ფარები ჩაუშვან, წყალს გზა გადაუღობონ და მდინარის შეგუბებას შეუდგნენ.

საგაზაფხულო წყალდიდობის სეზონმა მშვიდად ჩაიარა, მტკვარი თავის ჩვეულებრივ საზაფხულო კალაპოტში ჩადგა და მშენებლებს საშუალება მიეცათ გაშლილი ფრონტით შეუდგნენ საყრდენ კედლთა მშენებლობას, მდინარეს მთლიანად შეუკრან კალაპოტი, აღუკვეთონ ნაპირთა გადალახვის შესაძლებლობა.

სანაპირო ქუჩების საყრდენი კედლის დაბეტონება მდინარის მარჯვენა მხარეზე ბარათაშვილის ხიდიდან ორთაჭალის ყოფილ კუნძულამდე თითქმის სავსებით დამთავრებულია, გარდა მეტეხის ხიდის ზემო მიდამოებისა. ეს ადგილი საყრდენი კედლის მშენებლობისათვის ყველაზე საძნელოდ არის მიჩნეული. სამუშაო ფრონტის სივიწროვე და მდინარის დინების თავისებურება აძნელებს მტკვრის მარცხნივ გადასაგდებად ზღუდარის გაყვანას და საყრდენი კედლის საფუძვლის ამოყვანას.

ამჟამად მშენებლები ამ რთულ უბანზე მუშაობენ. აქ საყრდენი კედლის აგება თავიდანვე მინდობილი ჰქონდა თბილისმშენის მეხუთე სამშენებლო კანტორას, რომელიც უკვე შეუდგა კედლის პირველი წყვეტილის შეერთებას და ზღუდარის გაყვანას მტკვრის მარცხენა მხარეზე გადასაგდებად. სამუშაოებს ხელმძღვანელობს ინჟინერი ვ. ტუღუში, ხოლო ზღუდარის აგებაზე მუშაობენ მტკვრის სანაპიროების მშენებლობაში გამოცდილ მშენებელთა ბრიგადები, რომელთაც ოსხენ ლავრელაშვილი, გიორგი ბეგლარიშვილი და გიორგი გორგიაშვილი ხელმძღვანელობენ.

თბილისმშენის მეოთხე სამშენებლო კანტორის ბრიგადები ამჟამად გადასული არიან საყრდენი კედლის გაყოლებით სადრენაჟო ხაზის მოწყობაზე. ქვემოთ კი, ბალნეოლოგიური კურორტის ზონიდან ორთაჭალისის უბნამდე დაწყებულია კედლის გაყოლებით სანაპირო ქუჩის სასიარულო ნაწილისათვის ცარიელი ადგილების უამრავი ამოვსება, კედლის მოპირკეთება და პარაპეტის გაფორმება.

დიდი ხანი არ არის რაც გაჩაღდა მუშაობა მტკვრის შეგუბების ზონაში სანაღვრე კოლექტორების ხელახლა მოსაწყობად. ეს სამუშაო მოკლე დროში უნდა შესრულდეს, ვინაიდან, თუ ნიაღვრისაშვები სისტემა წინასწარ არ მომზადდა, მტკვრის კალაპოტში წყლის დაგუბება მიზანშეუწონელი იქნება. განსაკუთრებით ჩქარობენ მშენებლები ორი მთავარი ნიაღვრისაშვები კოლექტორის დამთავრებას კიბალიჩიხის ხევში და ლელვთა ხევში (ბოტანიკური ბაღის მხრიდან).

მშენებლები განაგრძობენ ბრძოლას მტკვრის ტალღებთან. განსაკუთრებული ენთუზიაზმი იგრძნობა ორთაჭალელების უბანზე. ორთაჭალელ მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ წელს დაამთავრონ სადგურის აგება, გამაზადონ ფართო და მშვენიერი ახალი საქალაქო ხიდი, შეუდგნენ მტკვარში წყალის შეგუბებას, რათა ქალაქის ფარგლებში მდინარის დონე იმდენად ამაღლდეს, რომ შესაძლებელი გახდეს სამდინარო ტრამვაით ნაოსნობის მოწყობა.

სანაპირო ქუჩათა საყრდენი კედლის მშენებლებსაც გადაწყვეტილი აქვთ წელს სავსებით გაამზადონ ადგილი ახალ სანაპიროთა სასიარულო ნაწილის მოსაშანდაკებლად, დაასწრონ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს სანიაღვრე კოლექტორთა ქსელის გამზადება.

დ. ამირანიძე.

დღეს ვოლგა-დონზე

დონის როსტოვი, 21 ივლისი. (საკუთარი). ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის კოლექტივი ემზადება ამ დიდებული ნაგებობის გახსნის პირველი წლისთავისათვის, რაც მალე შესრულდება.

ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ სახელოვანი წლისთავის მოახლოებას ვოლგა-დონის მე-14 და უკანასკნელი — მე-15 რაბის მუშაკები. ისინი უზრუნველყოფენ ყველა მექანიზმის, ელექტროტექნიკური მოწყობილობისა და ავტომატიკის ზუსტ და შეუფერხებელ მუშაობას. გემების რაბვა ხორციელდება გრაფიკის საგრძნობლად გასწრებით. ასევე მუშაობენ ვოლგა-დონის სხვა რაბები.

მაღალნაყოფიერად შრომობს ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი. ერთი წლის განმავლობაში, რაც სადგური მუშაობს, მან დიდძალი ელექტროენერგია მისცა როსტოვის ოლქის სახალხო მეურნეობას. განხორციელებულია ფერმების, საველე კალოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოების ელექტროფიკაცია. ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგური წინ უსწრებს ელექტროენერგიის გამომუშავების გრაფიკს.

ვოლგა-დონის ყველაზე დიდი ნავსადგური ციმლიანსკის ნავსადგური, რომელიც ველზე აშენდა, ამ დღეებში სისხლსავსედ ცხოვრობს. მის ნახევარკილომეტრიან ნავმისადგომ კედელთან, რომელიც ფოლადის ხიმინჯებისაგან არის გაკეთებული, მოდიან ხე-ტყით და ქვანახშირით, პურით და სხვადასხვა მანქანებით დატვირთული ვოლგისა და დონის კარჭაპები. მათი გადმოტვირთვა ხორციელდება პორტალური და მცურავი ამწეების საშუალებით. აქვე მოდიან კომფორტაბელური სამგზავრო დიზელელექტრომავლები, თბომავლები და გემები, რომლებიც მოსკოვ-როსტოვისა და როსტოვ-სტალინგრადის ხაზებზე დადიან.

ციმლიანსკის ჰიდროკვანძის, ისევე როგორც ვოლგა-დონის ყველა სხვა ნაგებობის დასათვალიერებლად მოდის ჩვენი ქვეყნის ათასობით მშრომელი. ისინი ათვალიერებენ ხე-ტყის განმანაწილებელ ბაზას, სადაც მოდიან კამის ხე-ტყის ტივები, რაბებს, რომლებსაც ამკობს ლამაზი ქანდაკებები, დონის მაგისტრალური არხის საოთავო ნაგებობას, რომელიც ციმლიანსკის ზღვის წყალს აწვდის დონის გალმა გვალვიანი ველების მოსარწყავად.

ახალი ამწე

იასინოვატაია (**სტალინოს ოლქი**). (საკუთარი). 20 ივლისს იასინოვატაიას მანქანათმშენებელმა ქარხანამ მოსკოვში გაგზავნა ახალი მოძრავი კოშკურა ამწე „სბკ-2“, რომლის სიმაღლეა 70 მეტრი. უზარმაზარი მექანიზმი, რომელიც ას ტონაზე მეტს იწონის, დატვირთეს რკინიგზის 12 პლატფორმაზე. იგი გამოყენებულ იქნება მაღალი შენობების მშენებლობაზე.

ახალ ამწეს დიდი წარმადობა აქვს. მისი ტვირთამწეობა თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ამწეების „სბკ-1“, რომლებსაც აქამდე უშვებდნენ. ხუთ ტონამდე ტვირთს იგი წუთში 35 მეტრი სისწრაფით აწევდის მე-20 სართულზე.

აგრეგატი აღჭურვილია ხმამაღლა მოლაპარაკე რადიოდანადგარით. მისი საშუალებით მეამწე, რომელიც კაბინში იმყოფება 12 სართულის სიმაღლეზე, უკავშირდება მშენებლებს.

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში

22 ივლისი. მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალური სტადიონზე გაიმართა მიმდინარე სასპორტო სეზონში მეორე საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და შვეიცის სასპორტო კლუბის „იუგბოიდენის“ გუნდები.

თამაშის დასაწყისშივე დინამოელებმა ზედიზედ მიიტანეს იერიში სტუმართა საჯარიმოდ. ერთ-ერთი კრიტიკული მომენტიდან თავის დაღწევის დროს შვეიცის ცენტრალურმა დამცველმა თავისსავე კარში გაიტანა პირველი ბურთი. 34-ე წუთზე დინამოელმა კორშუნოვმა მეორე ბურთი გაიტანა „იუგბოიდენის“ კარში. პირველი 45-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა დედაქალაქის დინამოელთა სასარგებლოდ 2:0.

მეორე ტაიმის მე-7 წუთზე ანგარიში გახდა 3:0 (ბურთი გაიტანა ბუზუნოვმა). 31-ე და 35-ე წუთზე დინამოელთა კარში ორჯერ იქნა გატანილი ბურთი. აქედან ერთი — პენალტით, ერთი — თვით „დინამოს“ დამცველთა მიერ. ბოლო წუთებში დინამოელმა სალნიკოვმა ერთი ბურთით გაადიდა ანგარიში. ამრიგად, გამარჯვეს მოსკოვის დინამოელებმა — 4:2.



ბევრი ახალი ლამაზი ნაგებობით დამშვენდა საქართველოს მეორე დიდი სამრეწველო ცენტრი — ქუთაისი. სტალინის სახელობის მოედანზე ახლახან აგებულ მრავალსართულიან კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლში ჩასახლდნენ პირველი მობინადრეების — სტახანოველი მუშების ა. აბრამიძის, ე. სმოკინის, ბ. სიმაკოვის, ინჟინერების ი. გიორგობიანის, გ. ვაჭარაძისა და სხვების ოჯახები. **სურათზე:** ქუთაისის სტალინის სახელობის მოედანი, მარჯვნივ მოჩანს ახალი საცხოვრებელი სახლი, მარცხნივ — ქუთაისის ახალი თეატრის შენობა.

ფოტო ვ. ზარიძისა.

საღღეისო თემაზე

ჩაის ხარისხის გამსაზღვრელი

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სერიოზულ ამოცანად დასახულია ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის მკვეთრად ამაღლება.

ფაბრიკებში ტექნოლოგიური რეჟიმის, სანიტარული პირობების მტკიცედ დაცვა, ახალი ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენება — ჩაის მრეწველობის აღმავლობის საფუძველია. ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ტიტესტერი — ჩაის ხარისხის გამსაზღვრელი ცენტრალური ფიგურაა. მისი ძირითადი მოვალეობაა გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი, სახელმწიფო სტანდარტის ზუსტი დაცვა, წუნის გამოვლინება და ბრძოლა მის აღსაკვეთად. ტიტესტერს დიდი დაკვირვება ესაჭიროება მუშაობაში, რადგან ის ორგანოლეპტიკური (არომატი, გემო და ნაყენის ფერი) გზით ადგენს ჩაის ხარისხს.

ჩვენი რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში ცოტანი როდი არიან ჩაის ხარისხის ისეთი განმსაზღვრელნი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქობულეთის რაიონის აჭყვის ჩაის ფაბრიკაში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტი ელენე პატიაშვილი. იგი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას უდგება სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, გაუსინჯავად არ სტოვებს ჩაის ნახევარფაბრიკატსა და მზა პროდუქციას და შეფასებისას იჩენს კარგ ცოდნას, მუდამ სწორად განსაზღვრავს მის ხარისხს.

სამწუხაროდ, ყველა ასე როდი მუშაობს. ზოგიერთი ტიტესტერი ზერელედ ეკიდება ჩაის ხარისხის დადგენას. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის გუდაუთის ჩაის ფაბრიკის ტიტესტერ პ. დარსაველიძეზე. ის ნაკლებ ინტერესს იჩენს ხარისხის სწორად განსაზღვრისადმი. მის მიერ გასინჯულ პროდუქციას საქართველოს ჩაის ტრესტის ცენტრალურ ლაბორატორიაში იმ ხარისხით არ იღებენ, რომელიც წარდგენილია პ. დარსაველიძის შეფასების საფუძველზე. ასეთ ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

ადგილებიდან მოდის ბიგნალები, რომ ცალკეულ რაიონებში ტიტესტერებს სათანადოდ არ უწყობენ ხელს და არც მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნავენ. გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ფაბრიკაში არ ეწყობა სპეციალისტთა შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. წულუკიძის რაიონის გუბის ფაბრიკაში ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე ტიტესტერის სამართლიან მოთხოვნებსა და რჩევა-დარიგებას დირექცია ზოგიერთ შემთხვევაში დროულად არ ეხმაურება, მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითს ზომებს არ იღებს.

საქართველოს ჩაის ტრესტი (მმართველი ამხ. მ. სარჯველაძე) ვალდებულია უფრო მეტი უურადღება მიაქციოს ტიტესტერთა კადრების მომზადებასა და გადამზადებას. ჩაის ყველა ფაბრიკაში ტიტესტერებს შექმნილი უნდა ჰქონდეთ ნორმალური მუშაობის პირობები.

ხუბტროპიკული რაიონების პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უზრუნველყონ ჩაის წარმოების მცოდნე კადრების — ტექნოლოგების, ტიტესტერების და სხვათა სწორი განაწილება, გამოყენება, იზრუნონ მათი იდეურ-პოლიტიკური დონის და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. გვახსოვდეს, რომ ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვის საქმეში წარმატებას კადრები წყვეტენ.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნა—მასებში

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილება აერთიანებს 100 ნამდვილ წევრს და დაახლოებით ამდენსავე წევრ-მოხალისეს. ეს დიდი ძალაა მოსახლეობაში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელებისათვის. ჩვენი მოწინავე ლექტორები ა. გაგიევი, დ. გაგლოევი, ნ. გაბარაევი, კ. თედეევი და სხვ. მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე კითხულობენ ლექციებს. ამიტომ მათ ინტერესით უსმენენ. მაგრამ საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა იმ გაზრდილი ამოცანების შესაბამისად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. თუ გასული წლის განმავლობაში საზოგადოების ძალებით წაკითხული იყო 1.709 ლექცია, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მხოლოდ 400-მდე ლექციაა წაკითხული. ლექციები არ იკითხება მეცნიერების ყველა დარგის მიხედვით. უმეტესობას იჩენენ საზოგადოების საოლქო განყოფილებასთან არსებული ბუნებისმეტყველების (თავმჯდომარე ვ. ხეთაგუროვი) და ლიტერატურისა და ხელოვნების (თავმჯდომარე დ. ბეკოევი) სექციები. პირველ მათგანს დღემდე სამუშაო გეგმის შედგენაზეც არ უფიქრია, ხოლო მეორე სექცია მხოლოდ თემატური გეგმის შედგენით დაკმაყოფილდა. წელს ამ სექციებს არცერთი ლექციის ტექსტი არ განუხილავთ. სექციების უმეტესობა, ცხადია, მოწმობს საზოგადოების საოლქო განყოფილების მუშაობის სისუსტეს.

ბევრი ფორმალურად ირიცხება საზოგადოების წევრად და არავითარ მონაწილეობას არ იღებს ლექციურ პროპაგანდაში. ასეთები არიან ს. ბეკოევა, მ. გაგლოშვილი, ბ. კორნაევი, გ. კაბისოვი, მ. მეშვილდიშვილი, ჯ. სანაკოევი, ვ. აბაევი და სხვ. საზოგადოების განყოფილებას ჩამოთვლილი ამხანაგები თავის მუშაობაში რომ ჩაება, ეს ხელს შეუწყობდა ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესებას მეცნიერების ცალკე დარგების მიხედვით. ზოგჯერ ლექციებს კითხულობენ ამ საქმისათვის არასაკმაოდ მომზადებული ამხანაგები.

პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საოლქო და რაიონულ განყოფილებებს, არ უწევენ კონტროლს, არ წარმართავენ მათს მუშაობას. ეს განსაკუთრებით შეეხება პარტიის ჯავისა და ზნაურის რაიკომებს. ამ რაიონებში საზოგადოების განყოფილებათა გამგეობის თავმჯდომარეები (ვ. ცხოვრებოვი — ჯავა, რ. გათიკოევი — ზნაური) უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მინდობილ საქმეს, საზოგადოების ხაზით ამ რაიონებში თითქმის სრულიად აღარ იკითხება ლექციები. პარტიის რაიკომები კი ამას ურიგდებიან.

მეოთხე წელია სამხრეთ ოსეთის რაიონებში შეიქმნა საზოგადოების რაიონული განყოფილებანი. ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიის რომელმე რაიკომი დაინტერესებულიყო საზოგადოების განყოფილების მუშაობით და ბიუროს სხდომაზე განეხილა საკითხი. პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ დახმარებას უწევენ საზოგადოებას სოფლის ინტელიგენციის მოსაზიდავად წარმოებულ მის მუშაობაში.

სტალინირის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე (გ. გაზაშვილი, ვ. რომელაშვილი) არ ეხმარება მივლინებულ ამხანაგებს ლექციების ჩატარებაში. საზოგადოების ძალებით იშვიათად ეწყობა ლექციები ოლქის დაშორებულ სოფლებსა და კოლმეურნეობებში. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების, მოწინავე საბჭოთა ფიზიოლოგიური და აგრობიოლოგიური მეცნიერების პროპაგანდა. ამჟამად პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილება და მისი რაიონული განყოფილებანი ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მასებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების მაღალ დონეზე დაყენება მოითხოვს კიდევ უფრო გაავძლიეროთ ლექციური პროპაგანდა მეცნიერების ყველა დარგში, განსაკუთრებული ადგილი დავუთმოთ პროპაგანდას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. ყოველივე ეს მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებას პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საოლქო და რაიონულ განყოფილებებისადმი.

ვ. სანაკოევი,

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ქ. მახარაძე. კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელი.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

მოკლედ

⊙ ბორჯომის საკურორტო სამმართველომ მოიწვია ექიმთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ი. პავლოვის მოძღვრება და დამსვენებელთა მკურნალობა". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ 13 სანატორიუმის და 5 დასასვენებელი სახლის ექიმები და მედიცინის სხვა მუშაკები.

⊙ ხაშურში მიიღეს ორი ახალი 50-ადგილიანი ავტობუსი და ორი მსუბუქი ავტომანქანა. ახალი ავტობუსები და ავტომანქანები ემსახურება მოგზაურაკეთა და მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანას ხაშური — სურამის გზაზე.

⊙ მომდინარე წლის 6 თვეში ცხაკაიას ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე მოგების სახით გასცა 1.067.440 მანეთი. რკინიგზის ცხაკაიას საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. თვალთვაძემ 1948 წლის სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის ორასმანეთიანი ობლიგაციით მოიგო 10 ათასი მანეთი.

⊙ ქარელის რაიონის სოფელ ქვემო ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში კომკავშირელებმა კოლმეურნეებს უჩვენეს გ. ერისთავის პიესა „ძუნწი" და ა. ყაზბეგის პიესა „არსენა".

⊙ ბორჯომში მუშაობს ქართული და რუსული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების ერთთვიანი რესპუბლიკური კურსები. ასეთივე კურსები გაიხსნა გეოგრაფიის მასწავლებლებისათვის.

⊙ ჭყოთაისის № 5 სამკერვალო ატელიეს მუშა-მოსამსახურეები იყვნენ ქ. სუხუმში. მათ დაათვალიერეს სტალინის სახელობის მთა, ბოტანიკური ბაღი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. განზრახულია მოეწყოს მუშა-მოსამსახურეთა მასობრივი ექსკურსია ბათუმში.

⊙ დიდუბის ზაგოტზერნოს ბაზის ადგილკომმა მოაწყო მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსია მცხეთაში და საგურამოში. ექსკურსანტებმა დათვალიერეს მცხეთის ისტორიული ადგილები და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში.

⊙ რუსთაველის პროსპექტზე საყოფაცხოვრებო კომბინატი (ყოფილი ჰოგიენის სახლი) ერთერთი უდიდესია ქალაქში. კომბინატს აქვს საშხაპე, კომფეტიკის კაბინეტი, ქალთა სპარიკმახერო, მანიკიურის განყოფილება. მამაკაცთა განყოფილებაში ყველა სავარძელთან არის საკუთარი პირსაბანი ცივი და ცხელი წყლით. კომბინატში წარმოებს ყოველგვარი ტანსაცმლის ქიმიური წმენდა, გარეცხვა, დუთოობა. კომბინატი ყოველდღიურად მომსახურებას უწევს ორი-ათასამდე კაცს.

ხალხთა მეგობრობის დროშით

ორი მოძმე რესპუბლიკის მეცნიერთა თანამეგობრობა

ამას წინათ ქ. კიევში შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მონაწილეობით. სესია მიეძღვნა ჰიპერტონიული დაავადების პრობლემას.

სამეცნიერო სესიამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი მეცნიერები (პროფესორები მ. წინამძღვრიშვილი, თ. მამალაძე, გ. გვიშიანი, ო. სტეპანენ, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ა. სმირნოვა-ზამკოვა და ა. კავეცკი, წევრი-კორესპონდენტები ა. უტევსკი, ე. პრიხოდკოვა, ნ. გორევი, ა. ვორობიოვი, პროფესორები თ. პრიმაკი, ა. მიხნევი და სხვები), ქალაქ კიევისა და უკრაინის სამეცნიერო და საექიმო საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ მომხსენებელთა უმეტესი ნაწილი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები და ასპირანტები იყვნენ.

კარდიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების მოხსენებებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰიპერტონიული დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის (კლინიკასა და ექსპერიმენტში) საკითხებს. აქვე მ. წინამძღვრიშვილის მიერ წარმოდგენილი იყო სრულიად ორიგინალური, კლინიკურ ფაქტებზე დაფუძნებული კლასიფიკაცია ჰიპერტონიული დაავადებისა, გაშუქებულ იქნა აგრეთვე ჰიპერტონიული დაავადების პათოგენეზისის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც პირველად ჩვენს ინსტიტუტშია შესწავლილ და დამტკიცებული. ამ შხრივ ძიებული მონაცემები სრულიად ცვლის ამ საკითხზე დღემდე არსებულ და მეცნიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს.

სესიამ ჩაიარა მეცნიერული კრიტიკის, გაცხოველებული კამათის და აზრთა ურთიერთგაზიარების პირობებში. თავის შემაჯამებელ სიტყვაში უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიური განყოფილების თავმჯდომარემ, აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ა. კავეცკიმ მაღალი შეფასება მისცა სესიის მუშაობას.

სესიის დამთავრების შემდეგ კიევის საზაფხულო თეატრში მოეწყო ქართველ მეცნიერებთან ქალაქის ინტელიგენციის შეხვედრა, რომელსაც 3 ათასამდე კაცი დაესწრო. აქ სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები თ. მამალაძე და გ. გვიშიანი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვ. გვანცელაძე, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი ა. ლომოური და სხვები.

ინსტიტუტის გამსვლელი სესიის მიზანი იყო ჩვენი მეცნიერული მიღწევების გაზიარება უკრაინელი ამხანაგებისათვის, საქმიანი და მეცნიერული კონტაქტის დამყარება, ამ გზით ერთ პრობლემაზე მომუშავე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის კოორდინირება. ორი რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკთა თანამშრომლობას დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მტკიცე მეგობრობას.

გ. ცაბაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

სომეხ და ქართველ ჩარხმშენებელთა შეჯიბრება

მტკიცდება და ღრმავდება ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა ძმური კავშირი და მეგობრობა, კერძოდ ქართველი და სომეხი ხალხების შემოქმედებითი თანამშრომლობა.

მეხუთე წელიწადია ერთმანეთს ეჯიბრებიან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნების კოლექტივები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში უკეთესი წარმატებების მისაღწევად, მათ წინაშე დაყენებული ამოცანების განაღდებაში უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

წელს მაისში ერევნელი ჩარხმშენებლები ეწვივნენ თავიანთ მოძმე თბილისელ ჩარხმშენებლებს. სტუმრებმა ჯულღასმით დათვალიერეს თბილისის კიროვის სახელობის ქარხანა, გაეცნენ საამქროთა კოლექტივების მუშაობას, ქარხნის მოწინავე ადამიანების გამოცდილებას და დიდად კმაყოფილნი დაბრუნდნენ.

სულ ამ ცოტა ხნის წინათ ქართველი ჩარხმშენებლების დელეგაცია ჩამოვიდა ერევანში და ეწვია ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივს. ერევნელმა თანამოძმეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს — დაათვალიერებინეს ქარხნის თვითეული საამქრო, ყოველი საწარმოო უბანი. სტუმრების ჩამოსვლის აღსანიშნავად საქარხნო კლუბში გაიმართა ერევნელი ჩარხმშენებლების კრება. საქართველოდან ჩამოსული სტუმრების გამოჩენის დარბაზში კრების მონაწილენი ტაშითა და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ.

სტუმრებს ერევნელი მუშების სახელით მისასალმებელი სიტყვით მიმართა ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორმა ა. ვირაბიანმა. მან აღნიშნა საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობის მნიშვნელობა მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში და ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი ნაყოფი მოაქვს საქართველოსა და სომხეთის ჩარხმშენებლების სოციალისტურ შეჯიბრებას, ურთიერთ შემოქმედებითს თანამშრომლობას.

ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელობის შესახებ სიტყვები წარმოთქვეს და სტუმრებს მიესალმნენ საქარხნო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. კარაპეტიანი, ინჟინერი ა. თუმანიანი, გამოჩენილი ჩარხმშენებელი სტახანოველი გ. მანუკიანი.

ქართველ ჩარხმშენებელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის წევრმა ახალგაზრდა თბილისელმა ხარატმა ი. ჭაბაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ეს დღე — ერევნელ თანამოძმეებთან შეხვედრა მისთვის მუდამ სასიამოვნოდ მოსაგონარი და დაუვიწყარი იქნება. ამასთან ერევნელ თანამოძმეებს მან გააცნო თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივის მიღწევები მეხუთე ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში და აღნიშნა, რომ თბილისელმა ჩარხმშენებლებმა აითვისეს ათობით ახალი, სპეციალური დანიშნულების ჩარხების გამოშვება. წელს განვლილ 6 თვეში მიაღწიეს 220 ათას მანეთ ეკონომიას, გადაჭარბებით შეასრულეს წლის პირველი ნახევრის გეგმა, საგრძნობლად გაუმჯობესეს ჩარხების საექსპლოატაციო თვისებები. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორის მოადგილემ რ. ელენტმა და სხვებმა.

ქართველ და სომეხ ჩარხმშენებელთა შეხვედრა გადაიქცა საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

შეხვედრის დასასრულს ხელმოწერილ იქნა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება 1953 წლის მეორე ნახევრისათვის. ორივე ქარხნის კოლექტივებმა მიზნად დაისახეს წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულება. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარებულ იქნება ის მხარე, რომელიც უფრო ადრე შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

ს. ბრიგოლრიანი.

ერევანი. 20 ივლისი.

ქალები—მოწინავე მეცხოველეები

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონის ალპურ საძოვრებზე კოლმეურნეობათა მრავალი ათეული ათასი ცხვარი და ძროხა ძოვს. მეცხოველეები, რომლებიც მთებში იმყოფებიან, ყოველდღიურად ტონობით ყველსა და ერბოს ამზადებენ.

მამაკაცებთან ერთად ენერგიულად შრომობენ კოლმეურნე ქალები. ისინი წველიან ცხვარსა და ძროხას, აკეთებენ ყველს, დღეებავენ კარაქს.

სოფელ მლეთის კოლმეურნეობაში ახალგაზრდა მწველავებმა რუსუდან ჯაღმაიძემ, ეთერ მურღულმა, თამარ შარმაიძემ, ნატო ნაზღაიძემ და სხვებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთლიანად შეინარჩუნეს ნამატი და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ძროხების წველადობის დაწესებულ ნორმებს.

ამავე კოლმეურნეობაში წარმატება მოიპოვა კოლმეურნე მაშო სეთურიძემ, რომელიც 14 ძროხას უვლის და გამოზარდა ამდენივე ჯანსაღი ხბო. მან გადაჭარბებით შეასრულა რძის მიღების ნახევარი წლის გეგმა.

პარტიული ხელმძღვანელობა—კომკავშირს

პარტიულ თემაზე

ვ. ი. ლენინა და ი. ბ. სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას. კომკავშირის მთელ მუშაობაში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. პარტიულა ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა—აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური სულისკვეთებით.

ქარელის რაიონში 136 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციაა, რომლებიც სამ ათასზე მეტ კომკავშარელს აერთიანებს. ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობა შედარებით უკეთ მოაწყეს ბრეთის, ზღუდრის, რუისის, მოხისის, ქვენატკოცის, დიდი ახალსოფლის, ქვემო ხვედურეთის, ურბნისის საკოლმეურნეო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირული კრებებისათვის აქ წინასწარ გულმოდგინედ ემზადებიან და მაღალ იდეურ დონეზე აწყობენ. კრებებზე განიხილავენ შინაკომკავშირული, სააგიტაციო-პროპაგანდისტული, კულტურულ-საგანმანათლებლო, ფიზკულტურული მუშაობისა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

ბევრმა კომკავშირელმა საკოლმეურნეო მინდვრებზე ბეჯითი შრომით ისახელა თავი. სოფელ მოხისში კოლმეურნე კომკავშირელებს თ. ნერგაძეს, ვ. სოიტაშვილს, ე. დიასამიძეს, გ. ციცქიშვილს ხუთ თვეში 100-120 შრომადღე აქვთ გამომუშავებული.

სოფელ ურბნისის კოლმეურნეობა „სინათლეში" გასული წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი მიიღეს. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით კომკავშირელებს. კოლმეურნეობაში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს კომკავშირელი სტეფანე კაკაშვილი, რომელიც მაღალნაყოფიერი, დაუღალავი შრომის მაგალითს იძლევა. მან შარშან 328 შრომადღე გამოიმუშავა, წელს უკეთესად მუშაობს. კომკავშირული ორგანიზაციის ათივე წევრი მოწინავეთა რიგებში დგას, წარმატებით ახორციელებს აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ფართოდ იყენებს შრომის მოწინავე მეთოდებს, განუხრელად ზრდის მოსავლიანობას.

კომკავშირელების სამეურნეო აქტივობის ზრდის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს მათი პოლიტიკური განათლების, თეორიული მომზადების დონის ამაღლება. ამიტომ პარტიის რაიკომი სერიოზულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდების თეორიულ სწავლებას. განვლილ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული იყო 135 კომკავშირელი, ხოლო კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში — 1.520 კომკავშირელი. ამას წინათ მოწყობილ შემაჯამებელ მეცადინეობაზე მათ, თითქმის ყველამ, პროგრამით გავლილი მასალის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს.

კომკავშირის რაიკომთან არსებობს ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფი. ლექტორებად დამტკიცებული არიან უმაღლესი განათლების მქონე 36 კომკავშირული მუშაკი. მათ მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში ახალგაზრდობისათვის მოაწყეს 145 ლექცია-მოხსენება, რაც კოლმეურნე ახალგაზრდობას დიდად დაეხმარა პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლაში. მოსახლეობაში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობენ კომკავშირელი ლექტორები მ. ხანიშვილი, დ. საათაშვილი, თ. ნასყიდაშვილი, ლ. ედილაშვილი, ა. ღვინიაშვილი, გ. ჯაბაური და სხვები. მათ შინაარსიან, საინტერესო ლექციებს ბევრი მსმენელი ესწრება.

პარტიის რაიკომი ბიუროების სხდომებზე პერიოდულად იხილავს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს. კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად გააძლიერეს სოფლების რუისის, ბრეთის, მოხისის, ამბისის, ქვენატკოცის, ურბნისის პარტიულმა ორგანიზაციებმა. ისინი ხშირად მსჯელობენ თავიანთ კრებებზე ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ მონაწილეობენ კომკავშირელები სოციალისტურ შეჯიბრებაში, როგორ ასრულებენ ვალდებულებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სასხვათაშორისო საქმედ თვლიდა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას, იშვიათად ისმენდა კომკავშირის ორგანიზაციების მდივნების მოხსენებებს, რის გამო სუსტად იყო დაყენებული კომკავშირული მუშაობა. ასე იყო, მაგალითად, ზემო ხვედურეთის, სანებლის, ელბაქიანთკარის, არადეთის და ზოგიერთ სხვა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში. რაიკომის ბიურომ მოისმინა ამ პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიში და დაავალა მათ უახლოეს პერიოდში გამოესწორებინათ ნაკლოვანებები, გაეძლიერებინათ კომკავშირის ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. ამჟამად აქ კომკავშირული ორგანიზაციები უკეთესად მუშაობენ.

ჩვენი რაიონის მარცვლეულის კულტურებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სოფლის მეურნეობაში. წელს რაიონში პურეულის უხვ მოსავალს ვიღებთ. ამ საქმეში ბევრი კომკავშირელი მისაბაძ მაგალითს იძლევა. აგარის მტს-ის კომკავშირელმა კომბაინერმა ა. გეგელაშვილმა მაღალხარისხოვნად შეაკეთა თავისი თვითმავალი კომბაინი. იგი პირველი გამოეხმაურა ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მუშაკთა მიმართვას და ჩაება მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრა 25 სამუშაო დღეში მოსავალი აიღოს 325 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ჰექტარისა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ამავე მტს-ის კომკავშირელი კომბაინერები ვ. ტიტვინიძე, ს. გელაშვილი, გ. კავთელაშვილი, ტრაქტორისტები ი. ჯოღელაშვილი, დ. ქოთოლაშვილი, ა. ბერუაშვილი, ზ. ჩაგელიშვილი, გ. გოგიჩაშვილი, გ. მეტრეველი, ვ. თომაშვილი და სხვები. ეს ახალგაზრდა მექანიზატორები ღირსეულად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

კომკავშირელები ენერგიულად დაეხმარნენ აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს მარტივი იარაღ-მანქანებისა და მარცვლის ჩასაყრელი საწყობების წესრიგზე მოყვანაში და ახლა პურეულის აღებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან.

ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ ყველა კომკავშირელი ასე მუშაობს. არის ნაკლიც. სოფელ დირბის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა. აქ კომკავშირულ ორგანიზაციაში 36 წევრი ირიცხება, მათგან 10 კომკავშირელი მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო შრომაში, ზარმაცობს, არ გამოდის სამუშაოდ. კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. ცქიფური იშვიათად აწვევს კომკავშირულ კრებებს, კომკავშირული მუშაობისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენს. ამის მიზეზი ისიც არის, რომ პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ა. ბერიძე) კომკავშირელებს თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევს. კომკავშირის ორგანიზაციებს სუსტად ხელმძღვანელობენ აგრეთვე სოფელ ჭანდრების, ღვლევის, ოქროსოფლის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერმა სტილმა გავლენა მოახდინა რაიონში კომკავშირულ მუშაობაზეც. პარტიის ქარელის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ კომკავშირს. რაიკომს წელს თავის პლენუმზე ერთხელაც არ მოუსმენია კომკავშირის მუშაობის საკითხი.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების შემდგომი გაუმჯობესებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რაიონის ყველა კომკავშირული ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანი, სისხლსავსე იყოს, იდგეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალ, გადიდებული ამოცანების სიმაღლეზე.

ვ. ბელაშვილი,

საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის მდივანი.

მეგვალურგი რაციონალიზაციორების თათბირი

რუსთავი. („კომუნისტის" კორ.). ამას წინათ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მოეწყო რაციონალიზატორთა თათბირი. რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე ვ. მიტასოვი.

თათბირზე აღინიშნა, რომ ქარხნის ადმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტი სუსტად მუშაობენ წარმოების ნოვატორებთან. რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიურო და საამქროებში მისი რწმუნებულები ზერელედ ეკიდებიან რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვებასა და განხორციელებას. ხშირად თვეობით ჭიანურდება ძვირფას წინადადებათა განხილვა. იყო შემთხვევები, როცა შემოტანილი წინადადებები დაიკარგა კიდეც. ქარხანაში შექმნილი არ არის საპროექტო ბიურო, რომელიც დაეხმარებოდა წარმოების ნოვატორებს რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად გაფორმებაში. არ ხდება საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა პოპულარიზაცია, მათი ავტორების წახალისება. იშვიათად ეწყობა კვალიფიციური სპეციალისტების ლექციები და მოხსენებანი. შემოღებული არ არის აგრეთვე რაციონალიზატორთა მივლინებანი სხვა საწარმოებში.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას განსაკუთრებით უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილებებში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ცუდად მუშაობ

წერილები რედაქციას

მეტი ყურადღება მილიციის საგავშვო ოთახებს

მომავალი თაობის კომუნისტური აღზრდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის საგანია. ჩვენს ქვეყანაში საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელი ბავშვთა აღზრდას ემსახურება. მილიციის განყოფილებებთან არსებული საბავშვო ოთახები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია საერთო სახელმწიფოებრივ საბავშვო დაწესებულებათა ქსელში.

საბავშვო ოთახები ძნელად აოსაზრდელი ბავშვების აღზრდაში ეხმარებიან სკოლასა და ოჯახს, თვალყურს ადევნებენ ბავშვების ყოფაქცევას საზოგადოებრივ ადგილებში, ზედამხედველობას უწევენ ბავშვებს.

დედაქალაქის მილიციის საბავშვო ოთახებმა ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გასწიეს. საბავშვო ოთახის ბევრი ინსპექტორი კარგად მოიქცა, როცა ბავშვთა უზედამხედველობის სალიკვიდაციოდ მუშაობა პირველ რიგში მშობლებში გაშალა. ამჟამად თბილისში საცხოვრებელი სახლების მიხედვით მშობელთა 355 კომიტეტია ჩამოყალიბებული, შექმნილია მშობელთა საბჭო, რომელიც 2.500-მდე მშობელს აერთიანებს. ისინი გულმოდგინედ მუშაობენ თბილისის საბჭოს აღმასკომის სავალდებულო დადგენილების განხორციელებისათვის, რომელიც ითვალისწინებს თბილისის საზოგადოებრივ ადგილებში ბავშვთა ყოფაქცევის წესების დაცვას, შეუფერებელი საქციელის აღკვეთას და სხვ. მშობელთა საბჭომ სხვა ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად მშობლებში 800-მდე აღმზრდელობითი ხასიათის ლექცია მოაწყო.

იმ სახლებში, სადაც მშობელთა კომიტეტი კარგად მუშაობს და საბავშვო ოთახი სათანადოდ იყენებს მშობელთა აქტივს, ბავშვთა უმეთვალყურეობისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლა სასურველ შედეგს გვაძლევს. მაგალითად, მელიქიშვილის ქ. № 39 სახლში მშობელთა კომიტეტს ხელმძღვანელობს მოქალაქე ს. კასპაროვა. ის ხშირად დადის სკოლაში, ეცნობა მის ეზოში მცხოვრებ მოსწავლეთა წარმატების ნიშნებს, აწყობს ჩამორჩენილებისადმი მოწინავეების დახმარებას. ამის შედეგად ეზოში წესრიგის არცერთი დამრღვევი და ცუდოსანი მოსწავლე არ არის.

მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა, სამწუხაროდ, ქალაქში ჯერ კიდევ ვხვდებით მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ბავშვთა უზედამხედველობის და მოსწავლის ღირსების შემბღალავ ფაქტებს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ბავშვთა უზედამხედველობასთან ბრძოლაში ჩაბმული არ არის ფართო საზოგადოებრივი აქტივი.

მთელ ქალაქში საბავშვო ოთახებზე მხოლოდ 253 კომკავშირელი და 1.242 მასწავლებელია მიმაგრებული, რომელთა უმრავლესობა უმოქმედობას იჩენს, მათ კი ანგარიშს არავინ არა სთხოვს. მაგალითად, მილიციის მე-2 განყოფილების საბავშვო ოთახს ვაჟთა მე-16 სკოლამ 32 მასწავლებელი მიამაგრა, მაგრამ მათ ხუთი თვის განმავლობაში 12 საათის, ხოლო ქალთა 38-ე სკოლიდან მიმაგრებულმა 71 მასწავლებელმა 10 საათის მეტი არ იმუშავეს. ამრიგად, თვითეულმა მასწავლებელმა ამ საპატიო საქმისათვის 8 წუთის მეტი დრო არ დახარჯა. უფრო მეტიც; ქალაქის მილიციის განყოფილებათა საბავშვო ოთახებმა მოსწავლეთა დაუშვებელი საქციელის შესახებ სკოლების დირექტორებს 2.187 წერილი მისწერეს, მაგრამ ბევრი არც კი გამოხმაურებია მათ. ლენინის რაიონის მე-16, 39-ე, 47-ე და 12-ე სკოლებს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაგზავნილ მიმართვაზე დღემდე არ უპასუხნიათ.

სამწუხაროდ, ამ მდგომარეობას აღგილობრივი საბჭოების სახალხო განათლების მუდმივი კომისიები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რის შედეგად შეუფერებელი საქციელით გატაცებული ზოგი ბავშვი სკოლას თავს არიდებს და ოჯახსაც სცილდება. მაგალითად, ვაჟთა 32-ე და 46-ე სკოლების IV კლასების მოსწავლეები ა. შახულოვი და ნ. გოდერძოვი მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან, სკოლაში ცუდად სწავლობენ. მილიციის მე-20 განყოფილების საბავშვო ოთახის მუშაკები მათ მიმართ უძლურნი აღმოჩნდნენ. ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილება, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არ ეხმარებიან საბავშვო ოთახის მუშაკებს ამ ბავშვებისადმი აღმზრდელობითი ღონისძიების განხორციელებაში.

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭომ ამ საკითხზე აქტივის სპეციალური თათბირი მოაწყო. კომკავშირის თბილისის კომიტეტმაც საჭირო და კარგი ღონისძიება შეიმუშავა, მაგრამ მისი განხორციელებისათვის ჯეროვანი მუშაობა არ გაშლილა.

ქალაქში მილიციის საბავშვო ოთახები მოუწყობელია. სათანადო ლიტერატურასა და ჟურნალ-გაზეთებზე რომ არაფერი ვთქვათ, მათ არ გააჩნიათ ბავშვის სათამაშოები. საბავშვო ოთახების უმრავლესობა ცუდ ბინებშია მოთავსებული. უფრო მეტიც, ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა საბავშვო ოთახის ნათელ ბინაში სახლმმართველობა შეასახლა და საბავშვო ოთახს კი ნახევრად დანგრეული ბინა მისცა.

ახლა, მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში, საბავშვო ოთახებისა და მათი დამხმარე აქტივის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დგას.

ყველა დიდ საცხოვრებელ სახლსა და დასახლებაში უნდა ჩამოვაყალიბოთ მშობელთა კომიტეტები, მოვაწყოთ ბავშვთა კოლექტიური დასვენება და გართობა, გამოვიყენოთ შესაფერისი კინოსურათების ჩვენება, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი ბავშვი კარგად მოწყობილ ბავშვთა კოლექტივში ერთობოდეს, სწავლობდეს და ისვენებდეს.

მილიციის მაიორი ქ. ბიოკრბაძე.



ახმეტის ტყეებში. 60.000-ზე მეტი კუბმეტრი წიფლისა და თელის მერქანი უნდა გამოიტანოს ტყიდან და ხის გადასამუშავებელ მრეწველობას მიაწოდოს წელს ახმეტის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კოლექტივმა. ტყიდან მოკრილი ხეების გამოზიდვა ხდება უმთავრესად მექანიზებული წესით. **სურათზე:** მოწინავე ტრაქტორისტი ოთარ ჭურდაძე, რომელიც „ს-80“ მარკის ტრაქტორით ეზიდება მოკრილ ხეებს და დღიურ ნორმას 170-180 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ხელოვნების ქრონიკა

ბათუმის თეატრი ზუგდიდში

ზუგდიდში საგასტროლოდ ჩამოსულმა ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა პ. ლორიას „ნაირა“, კ. ბუაჩიძის „მაცარი ქალიშვილი“, ი. ვაკელის „რვალი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ა. შერვაშიძის „ბაგრატიონი“ და სხვ.

გასტროლებში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი შ. მესხი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. კობალაძე, ა. გარნელი, ნ. თეთრაძე, ა. მგელაძე, ხ. მეგრელიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები კ. ღოღონაძე, გ. აბელიანი, გ. იმნაშვილი, ლ. აფხაზავა, ლ. სავანელი, პ. ინწკირველი და სხვები.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლებს ზუგდიდელი მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ.

თელაველთა კონცერტები ბათუმში

ბათუმის მასწავლებლის სახლში გაიმართა თელავის მასწავლებლის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი.

პროგრამაში იყო ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებნი, ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ანსამბლმა კონცერტი გამართა აგრეთვე აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

ბუქარესტში, ფესტივალზე!

დღეს, 23 ივლისს, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიწვევით მიდის მოსკოვში. იქიდან ხაბჭოთა ქვეყნის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გავემგზავრებით ბუქარესტში, სადაც აგვისტოში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა III მსოფლიო კონგრესი და IV მსოფლიო ფესტივალი მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ბ. რამიშვილი,
ი. სუხიშვილი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები.

საზღვარგარეთ უკვე რამდენჯერმე ვართ ნამყოფი. ბუქარესტში ჩვენი ანსამბლი გამოვიდა ორჯერ — 1948 და 1950 წლებში. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვეკიდებით მომავალ გამოსვლებს ბუქარესტში. ანსამბლმა ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნება მსოფლიო ქორეოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლებს უნდა აჩვენოს.

მომავალი ფესტივალისათვის ანსამბლმა მოამზადა რამდენიმე ახალი ცეკვა. საცეკვაო კომპოზიცია ქალთა ჯგუფისა და ერთი ვაჟისათვის აგებულია ქართული ხალხური სიმღერის „თებრონე მიდის წყალზედა“ მოტივებზე. მას თავისი სიუჟეტური ხაზი აქვს — ერთმანეთს ცვლის ცეკვისა და პანტომიმის ეპიზოდები.

ახალი ცეკვა „შეჯიბრება“ ჩვენ შევქმენით ვაჟთა ჯგუფისათვის. მას შესრულებენ მოცეკვავეები, რომლებიც ზედმიწევნით არიან დაუფლებულნი ცერულს.

ქორეოგრაფიული კომპოზიცია „შრომის შემდეგ“ ასახავს საქართველოს ჩაის პლანტაციებზე მომუშავეთა საამური დასვენებას. ამ ცეკვაში მონაწილეობენ ანსამბლის ქალთა და ვაჟთა ჯგუფები.

პროგრამის ახალ ნომერს წარმოადგენს აგრეთვე „ქართული სიუიტა“, რომელშიც შედის სამი ცეკვა — „ლაზური“, სადაც ნაჩვენებია თევზის ჭერის პროცესი, „გადახვეული“ და „მხარული“.

საერთაშორისო ფესტივალზე გამოსასვლელად ანსამბლს შეუკერეს ახალი საუკეთესო ტანსაცმელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის ს. ვირსალაძის ესკიზების მიხედვით.

მღელვარებით ველით კონკურსის დღეს, როცა ჩვენი ანსამბლი შეეჯიბრება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საუკეთესო ოსტატებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს სესიაზე

ჟენევა, 22 ივლისი. (საკრესი). 20 ივლისს ეკონომიური და სოციალური საბჭოს ეკონომიურმა კომიტეტმა დაამთავრა მოსახლეობის სრული დასაქმების საკითხზე რეზოლუციის პროექტების განხილვა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ეკონომიური და სოციალური საბჭოსაგან მოითხოვდა, რომ მან მოუწოდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას, ბევრ ქვეყანაში არსებული უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის, მოსახლეობის დასაქმების გადიდებისა და მისი ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით, მიიღონ საჭირო ღონისძიებანი იმ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან სახელმწიფოთა შორის ნორმალური ვაჭრობის განვითარებას.

გამოვიდა რა საბჭოთა რეზოლუციის პროექტის დასასაბუთებლად, სსრ კავშირის წარმომადგენელმა არუთინიანმა თქვა, რომ არსებულ პირობებში დასაქმების გადიდებისათვის ხელის შესაწყობად ყველაზე საიმედო საშუალება, რომლის რეკომენდება შეუძლია საბჭოს, არის დისკრიმინაციისა და დაბრკოლებათა აღმოფხვრა ნორმალური საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე. ამასთან მან დაიმოწმა კუბის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების დელეგატების გამოსვლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ სიძნელენი, რომლებსაც ეს ქვეყნები განიცდიან ექსპორტის მხრივ, ხელს უწყობენ უმუშევრობის ზრდას ამ ქვეყნებში.

ვერც ერთმა დელეგაციამ ვერ შეძლო წარმოედგინა რამდენადმე დასაბუთებული მოსაზრებანი საბჭოთა რეზოლუციის პროექტის დებულებების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დაიმოწმა ის, რომ მისი ქვეყნის უმუშოება თითქოს მოითხოვს მთელ რიგ ქვეყნებთან ვაჭრობის შეზღუდვას. იმათი რაოდენობა, ვინც საბჭოთა პროექტის მეტი წილი პუნქტების კენჭისყრის დროს ხმა მისცა წინააღმდეგ, იყო ნაკლები, ვიდრე იმათი რაოდენობა, ვინც ხმა მისცა ამ პუნქტებს და თავი შეიკავა. საბჭოთა პროექტის ცალკეული პუნქტების კენჭისყრისას იმ დელეგაციების რაოდენობა, რომლებმაც თავი შეიკავეს, აღწევდა 9-ს (როგორც წესი, კენჭისყრის დროს თავს იკავებდნენ არგენტინის, ინდოეთის, ბელგიის, ფილიპინებისა და სხვა დელეგაციები).

ამავე დროს, ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა ხმა მისცეს სსრ კავშირის დელეგაციის უდავო დებულებების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ სახელმწიფოებს შორის ნორმალური ვაჭრობის განვითარებას.

სესიის კულუარებში გაკვირვებას გამოთქვამენ იმ პოზიციის გამო, რომელიც დაიკავეს ევროპის ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არიან საფრანგეთი, ინგლისი და შვეიცარია, (რომელთა ეროვნული ინტერესები მოითხოვენ საგარეო ვაჭრობის განვითარებას. რათა შეარბილონ მათ მიერ დაკავებული აშკარა არაპოპულარული პოზიციით გამოწვეული უარყოფითი შთაბეჭდილება, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ინდოეთისა და შვეიცარიის დელეგაციებმა წარადგინეს მათ მიერ წანათ შეტანილი რეზოლუციის პროექტის ახალი გადასინჯული ვარიანტი, რომელშიც შეიტანეს ზოგიერთი დებულება საბჭოთა რეზოლუციის პროექტიდან, მაგრამ უფრო ნაკლებად გარკვეული, არაკონკრეტული რედაქციით.

გარდა ამისა, ამ პროექტში გამოთქმულია შიში, რომ გამალებული შეიარაღების შემცირებას თითქოს შეიძლება მოჰყვეს არაკეთილსასურველი შედეგები ეკონომიკის დარგში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნაშნა, რომ ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის ძირითადი მანკია ის, რომ იგი სჯერდება არსებული მდგომარეობის კონსტატაციას და არ მოითხოვს მიღებულ იქნას ღონისძიებანი მრეწველობის მშვიდობიანი დარგების განვითარებისათვის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის და ნორმალური და ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განვითარების გზაზე დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის. აღნიშნული პროექტის გასაუმჯობესებლად და იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილება, საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა მთელი რიგი შესწორებანი.

საბჭოთა დელეგაციის ახალმა ინიციატივამ ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები. ბელგიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი არსებითად ეთანხმება საბჭოთა დელეგაციის შესწორებებს და მოუწოდა გამოინახოს ყველასათვის მისაღები ფორმულირებანი. ინდოეთის, ფილიპინებისა და შვეიცარიის წარმომადგენლებმა შეიტანეს ზოგიერთი კომპრომისული წინადადებანი, ამასთან შვეიცარიის ერთ-ერთი წინადადება კომიტეტმა მიიღო. ამრიგად, აშკარა იყო, რომ ბევრი დელეგაცია პრინციპულად ეთანხმება საბჭოთა შესწორებების არსს, მაგრამ, როცა საქმე ამ შესწორებების კენჭისყრამდე მიდიოდა, იგივე დელეგაციები ან თავს იკავებდნენ კენჭისყრაში, ან წინააღმდეგ აძლევდნენ ხმას.

ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტი მასში შეტანილი შესწორებებით მიღებულ იქნა 16 ხმით, ამასთან ორმა დელეგაციამ (სსრ კავშირი და პოლონეთი) თავი შეიკავა. სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ რეზოლუციის პროექტს აქვს არსებითი ნაკლოვანებანი და, მხედველობაში მიიღეს რა ამ პროექტის ავტორების მიერ შეტანილი შესწორებანი, შესაძლოდ მიიჩნიეს არ მიეცათ ხმა მის წინააღმდეგ.

იზრდება იტალიის სოციალისტური პარტიის გავლენა

რომი, 21 ივლისი. (საკრესი). გაზეთი „ავანტი“ იუწყება, რომ 7 ივნისის არჩევნების შემდეგ რომში და რომის პროვინციაში 1.827 მოქალაქე შევიდა სოციალისტურ პარტიაში. შექმნილია პარტიის 36 ახალი ორგანიზაცია, მათ შორის 6 — რომში და 30 — პროვინციის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში.

ლექსების დაბადება

სოფელ ციხისძირში, რომელიც ანანურს ზემოთ — საქართველოს სამხედრო გზის პირად არის გაშენებული, ცხოვრობს ერთი სანდომიანი სახის ჭაღარა მოხუცი, რომელიც სხვებისაგან მეტად გამოირჩევა.

გამოირჩევა არა მარტო იმით, რომ გამოცდილი გუთნისდედა, მოწინავე კოლმეურნე და პურადი კაცია, არამედ იმითაც, რომ იგი ბუნებით-პოეტია, რომელსაც არა ერთი და ორი ათეული ლექსი დაუწერია ჩვენი სამშობლოსა და ხალხის სადიდებლად.

გიორგი გულაშვილი ერთხანს მეწისქვილე იყო. ზამთრობით, როცა დიდი თოვლის გამო ავტომანქანების მოძრაობა წყდებოდა, ბევრი მგზავრი გამთბარა მის წისქვილში. სტუმრებს მოხუცი ხალისით ღუმელთან დასვამდა, ქვეყნის ამბავს გამოკითხავდა, შემდეგ სათვალეს მოიმარჯვებდა და ახალ გაზეთებს წაუკითხავდა ხოლმე. სტუმრებს მარტო ამას როდი აკმარებდა, გაუმასპინძლდებოდა კიდეც გლეხკაცურად.

ჭირივით ეჯავრება გიორგის ზარმაცი და პურაძვირი კაცი. თვითონ ხომ იშვიათი სტუმართმოყვარე და გამრჯეა, სოფელში დილით ადგომას ვერავინ დაასწრებს. გულიანად იცინინან კოლმეურნეები, როცა გიორგი ოდნავ ჩახლეჩილი ხმით ფანდურზე ძველ სიმღერას დაამღერებს ხოლმე:

კაცი მოკვდა პურაძვირი,
მოახვევენ ტილოსაო,
გაუთხრიან სამარესა,
ემანდ ეგდე შვილოსაო,
ვინც მაგახ შენდობა უთხრას,
ღმერთმა შეარცხვინოსაო...

თუ ვინმემ სოფელში წაიზარმაცა, გიორგი მას ისეთ ლექსს გამოუთქვამს, რომ კარგა ხანს ეყოფა სირცხვილად. ამიტომ კოლმეურნეები ცდილობენ მოხუცს კარგი საქმეები უჩვენონ, ბეჯითად იშრომონ. მას მოწინავეთა შეექებაც უყვარს. არაგვის ხეობა ხომ ხალხური პოეზიის კუთხეა, აქ ლექსები სოფლიდან სოფელში სწრაფად გადადის, და იმაზე კარგი რა უნდა იყოს, რომ შენს ქებას ხალხი მღეროდეს.

ერთი წლის წინათ გიორგის ფრანგი მწერლის ალფონს დოდეს ქართულად გამოცემული წიგნი „წერილები ჩემი წისქვილიდან“ ვუსანსლოვრე. თვითონაც ბაშინ მეწისქვილე იყო და დაინტერესებს-მეთქი. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ შევხვდი, მოხუცმა თქვა:

— კარგი წიგნია, ბევრი რამ საგულისხმო წერია, მაგრამ ჩემი წისქვილიდან უფრო ხალისიანი წერილები დაიწერებოდა. განა საინტერესო არ არის თუგინდ მარტო ჩემი ცხოვრება. როგორი ვიყავი ძველად და რა ვარ ახლა... შემდეგ მოხუცი ჩაფიქრდა, სახეზე ღიმი მოერია და განაგრძო:

— თხუთმეტი წლისამ წერა-კითხვა ჩემით ვისწავლე, სკოლაში სიარულს ბაშინ ვინ გვაღირსებდა. მახსოვს, პირველად, როცა ასოს ასო და სიტყვას სიტყვა მივაბი, ისეთმა სიხარულმა შემიპყრო, რომ რა გითხრა... ეს ჩემი მეორედ დაბადება იყო. ძალიან მომინდა ჩემი სიხარული ქაღალდზე ლექსად გადამეტანა, გამოვიდა კიდეც... ასე დაიბადა პირველი ლექსი. არა, ჩემი წისქვილიდან მართლაც კარგი წერილების დაწერა შეიძლება, თუმცა, ალბათ, ამ პრიჭინას მალე დავანგრევთ, ელექტრობა გამოგვყავს...

გიორგის ოჯახს შემოდგომაზე გავეცანით. კვირადღე იყო. არაგვის ხეობას ჯერ კიდევ მწვანე სამოსელი ეცვა, როცა დილით ადრე ციხისძირს ზემოთ მდებარე ფერდობზე ავედით. ამხანაგებს ნადირობა უნდოდათ და ამ სურვილის შესრულებას წინ აღარაფერი ედგა. ჩვენს გარშემო ჩირგვნარი იყო, რომელშიც, როგორც ადგილობრივი კოლმეურნეები ხუმრობდნენ, კურდღლების მთელი ფარა იმალებოდა.

... შეიქნა ძაღლების ყეფა და მონადირეთა ყვირილი. საქმე თავიდანვე კარგად დაიწყო. ერთმა ხანშიშესულმა ინჟინერმა, რომელიც სიბეცის გამო სათვალეს ატარებს, პირველივე გასროლით კურდღელი მოკლა.

— ეს ერთი და სხვა მრავალი, — მიულოცეს ამხანაგებმა, მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ. ამის შემდეგ არათუ რამე მოვკალით, პირიქით, ზარალი განვიცადეთ.

ამბავმა, რასაც ქვემოთ გიამბობთ, დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია და ამ შემდგომში ანეგდოტად გადაიქცა. იცინოდა ყველა, გარდა დაზარალებულისა, რომელიც ხანდახან თუ გაიღიმებდა, თორემ სხვა რაღა ჰქონდა სათქმელი.

აი რა მოხდა. ერთი ძაღლი, რომელიც ყველაზე მეტს დარბოდა და პატრონს დიდი მზრუნველობით ჰყავდა გაზრდილი, ჩირგვნარიდან ტყეში გაიჭრა. დიდხანს ისმოდა მისი გაბმული ყეფა. მონადირენი ფიქრობდნენ — ალბათ, კვალს მიაგნო და მალე კურდღელს გამოადებსო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყეფაც შეწყდა და ძაღლიც აღარ გამოჩენილა.

ღამდებოდა. იძულებული გავხდით ნაქებარი ძაღლის საძებნელად ტყეში წავსულიყავით. ბევრი ხეტიალის შემდეგ ვიპოვნეთ კიდეც, მხოლოდ ცოცხალი კი არა... მგლისაგან დაგლეჯილი. ეტყობოდა, მგელსა და ძაღლს ბევრი ებრძოლათ და ეს საშინელი შემართება მგლის სასარგებლოდ დამთავრებულიყო.

წახვიდე სანადიროდ, არაფერი მოკლა და ძაღლიც მგელს შეაჭამო, — ამაზე მეტი სირცხვილი რაღა იქნება? რაღას ვიზამდით, სოფელში დავეშვით და გიორგი გულაშვილს კარმიდამოს მივადექით.

მასპინძელი მხიარული ღიმილით დაგვხვდა, სათითაოდ მოგვიკითხა და სუფთად მოწყობილ ოთახში შეგვიძღვა. დატრიალდა გიორგის მეუღლე — დეიდა მართა, ცეცხლი გააჩაღა, და მალე გაკრიალებული სუფრა ჭიქებით, ბოთლებითა და ხორაგით აივსო.

ვინც სანადიროდ ერთხელ მაინც ყოფილა, მან კარგად იცის მონადირის მადა. ამიტომ საკვირველი არ იყო, რომ მასპინძლები ძლივს ასწრებდნენ სპილენძის ძველებური ქვაბიდან ცხელ-ცხელი ხინკლის ამოღებას.

თამადად თვითონ გიორგი დადგა — ჩემს ოჯახში სუფრის ხელმძღვანელად სხვას ვერ დავაყენებო, — თქვა, ულვაშებზე ხელი გადაისვა, ოდნავ ჩაახველა და სტუმრები დალოცა.

სასმელმა გაჭრა. სტუმრებმა ლაპარაკს უმატეს. თამადა ღიმილით უსმენდა მონადირულ ტყუილ-მართალს. რა თქმა უნდა, ნაქები ძაღლის დაღუპვის ამბავი არავის წამოსცდენია, რადგან შიშობდნენ — გიორგიმ თუ გაიგო, გამოგვალექსებს და ეს სამარცხვინო ამბავი ქვეყანას მოედებაო.

სტუმრებთან ერთად ილხენდა ბერიკაცი, ან კი რა ჰქონდა სადარდებელი? უფროსი ქალიშვილი თამარი მეზობელ სოფელ დგნალში ჰყავს, მასწავლებლად მუშაობს, მომდევნო ქალიშვილი ჟენია ჭოპორტში გაათხოვა, ანამ სამშენებლო ტექნიკუმი ახლახან დაამთავრა, ხოლო ყველაზე უმცროსი — გურამი — მერვე კლასის მოსწავლეა.

ჯანღონით სავსე ცოლ-ქმარი გიორგი და მართა კოლმეურნეობაში პატიოსნად და თავდადებულად შრომობენ, ოჯახში კარგად არიან მოწყობილი, პური და ღვინო არ აკლიათ.

გიორგიმ კედელზე ჩამოკიდებული ფანდური ჩამოხსნა, ჩვარი გადაუსვა და ჯერ ხალხური სიმღერები ჩაღიღინა და შემდეგ საკუთარი ლექსებიც მიაყოლა.

ოჯახის უფროსი მღეროდა საბჭოთა კონსტიტუციასა და ჩვენს დიად სამშობლოზე, საყვარელი ბელადების ლენინისა და სტალინის უკვდავ ხსოვნაზე, ბედნიერ საკოლმეურნეო ცხოვრებასა და მშვიდობაზე, არაგვის ხეობაში მომხდარ სასიხარულო ამბებზე.

სტუმრებმა გიორგის ლექსები უქებს. მასპინძელმა ქება მიიღო, მაგრამ შენიშნა:

— ლექსებში ნიკო მჯობია, ბულალაური... ცოდნაც მეტი აქვს და ოსტატობაც.

თავისი სიტყვების დასტურად მან ფშაველი კოლმეურნის ბულალაურის ლექსი შემოსძახა:

უნდა შეგბოჭოთ, არაგვო,
გაგხადოთ ხალხის მსახური,
შენს ზურგზე უნდა ავაგოთ
ჰიდროელექტროსადგური...

— ამ ელსადგურს რომ ვაშენებდით, მაშინ ვმღეროდით. ახლა ელსადგურიც აშენებულია და გიჟი არაგვიც ხალხს ემსახურება. ბევრი ადამიანი აამღერა ახალმა ცხოვრებამ. აბა წარმოიდგინეთ, ახლა ძველი დრო რომ იყოს, ჩვენი სოფელი განა ისეთი იქნებოდა, როგორიც დღეს არის? უწინ თუ მიწურ ქოხებში ვიყავით, ახლა კრამიტით გადახურული სახლები გვაქვს, სკოლაც გვაქვს, კლუბიც და სამკითხველოც. ტრაქტორები და კომბაინები ჩვენთვის უცხო არ არის. ერთი სიტყვით, თითქოს ხელ-ახლა დავიბადეთ... — დაასკვნა გიორგიმ.

მასპინძელს ტყუილად არ უხსენებია ნიკო ბულალაური. ეს კოლმეურნეც მშვენიერი ლექსების ავტორია. იგი ცხოვრობს ციხისძირიდან არც ისე შორს — ფშავის ხეობაში. ნიკო ბულალაურს სკოლაში არ უვლია, მან წერა-კითხვა მწყემსობაში შეისწავლა.

— ჩემი საწერ-კალამი ნახშირი იყო, ხოლო დაფა და ქაღალდი — სიპი ქვებიო, — იტყვის ხოლმე ნიკო.

ასამდე ლექსი აქვს დაწერილი კოლმეურნე ბულალაურს. ამ ლექსებში იგი გულწრფელად უმღერის განახლებულ მთებს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

თავის დიდი თანამემამულის — ვაჟა-სადმი მიძღვნილ ლექსში ბულალაური წერდა:

ნეტავი ისევ ცოცხლობდე,
ძვირფასო ვაჟა-ფშაველავ,
შენი სიმღერა ფშავური
კვლავ გაისმოდეს მთა-ველად.
კიდევ იტყოდე ლექსებსა
შენ ჩვენი ქვეყნის სალხენად,
ახალ „ბახტრიონს“ დასწერდე
ჩვენი გმირობის სახელად.
აყვავებულან ვარდისფრად
შენი არაგვის ჭალები,
თითქოს საფლავშიც ხარობენ
გმირ წინაპართა ძვალები,
ჩვენს გულში ათასწლოვანი
სიცოცხლის ძალა ჩამდგარა,
გმირებს უმღერენ მგოსნები,
თვით რუსთაველიც ამდგარა...

ნიკოს ესა და სხვა მრავალი ლექსი გიორგიმ ზეპირად იცის და ხშირად ფანდურზე დაამღერებს ხოლმე.

მასპინძელს ალექსი ხუცურაული ვუხსენეთ. მოხუცმა გაიღიმა და თქვა:

— ვიცნობ, როგორ არა, მაღაროსკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ძალიან ყოჩაღი კაცია, სოფელს ჩინებულად უძღვება და ლექსებსაც კარგს წერს.

საოცარია, ფშავის ხეობაში იშვიათია კაცი, რომელსაც ლექსის გამოთქმა არ შეეძლოს. როცა ნაცნობი ნაცნობს შეხვდება და ერთმანეთს გაუმასპინძლდებიან, ჩვეულებრივად „კაფიაობას“ დაიწყებენ. ერთი იტყვის ლექსის ორ სტრიქონს, ხოლო ამ სტრიქონებს მეორემ შესაფერი რითმა უნდა მოაბას. „კაფია“ ერთგვარი კრიტიკაც არის მეგობრის მიმართ. თუ ადამიანი რაიმე არაწესიერ საქციელშია შენიშნული, მას ამაზე ლექსად ეტყვიან — ერთხელ შემცდარხარ და მეორედ ასეთს ნუ გაიმეორებო.

გიორგის იმ ღამეს „კაფია“ არ უთქვამს:

— მეტოქე არავინა მყავს და ჩემს თავს ხომ არ შევეკამათებიო...

შუაღამე გადასულიყო, როცა მასპინძელი დავტოვეთ და რაიონული ცენტრისაკენ გამოვემგზავრეთ. თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ეჯიბრებიანო, ელექტროლამპიონები კაშკაშებდნენ არაგვის ხეობაში.

ეძინათ მთის ფერდობებზე შეფენილ სოფლებს, მხოლოდ არაგვის ტალღების ხმაური არღვევდა ღამის მყუდროებას, და ამ სიჩუმეში მომაგონდა მაქსიმ გორკის მშვენიერი მოთხრობა იმის შესახებ, თუ ორმა უბრალო ქალმა ბწუხრისას — ეკლესიის ზარების სევდიან გუგუნში როგორ შეთხზა ახალი სიმღერა, ისეთივე ნაღვლიანი და სევდის მომგვრელი, როგორიც იყო მათი უსიხარულო ცხოვრება... ეს მოხდა ძველად, მეფის რუსეთში.

ჩვენს ქვეყანაში კი იბადებიან ისეთი სიმღერები და ლექსები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების სიხარულსა და ბედნიერებას გამოხატავენ.

ა. თოდუაძე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 21 ივლისი. (საკ.). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო ჯარები ყველა უბანზე ეწეოდნენ უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

დღეს საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 2 და დაზიანეს 1 თვითმფრინავი.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების გამო

პეკინი, 21 ივლისი. (საკ.). სინხუას საagენტოს კორესპონდენტმა კესონიდან გადმოსცა ცნობა:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

21 ივლისს გაეგზავნა ორივე მხარის დელეგაციების შტაბის ოფიცრების, მეკავშირე ოფიცრებისა და თარჯიმნების დახურული სხდომები.

ინდოეთის მთავრობის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთისადმი კორეის საკითხზე

ლონდონი, 21 ივლისი. (საკ.). რეიტერის საagენტოს კორესპონდენტი დელიდან იტყობინება:

დღეს ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის მთავრობებს მიმართა განმარტებისათვის კორეაში ახლანდელი მდგომარეობისა და იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს იგი ინდოეთის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებაზე, რომლებიც გათვალისწინებულია შეთანხმებით სამხედრო ტყვეების შესახებ.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის წინ

ბუქარესტი, 22 ივლისი. (საკ.). ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი ბუქარესტში ხალხთა ხელოვნების გრანდიოზული დათვალიერება იქნება. უკვე 70-ზე მეტმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ფესტივალის კულტურულ პროგრამაში. მაყურებელთა მრავალ დარბაზში, საზაფხულო თეატრებში, კინოთეატრებში და ქალაქის მოედნებზე მოწყობილ ესტრადებზე გაიმართება ასობით მხატვრული გამოსვლა, რომლებსაც ყოველდღე ნახავს ასეული ათასობით ადამიანი.

ფესტივალის დელეგატები გაეცნობიან გუნდს „ორფეონ მარტიანო“ ბაიამოდან (კუბა), გუნდს გდანოსკიდან (პოლონეთი); ხმლებით ცეკვის შემსრულებლებს ინგლისიდან, ბულგარელ პიონერთა საგუნდო ანსამბლს. ანსამბლს „ად-დეზაი“ (ალეირი), ლენინგრადის ბალეტს, ქალაქ ატარა-ტურის (ჩეხოსლოვაკია) ჩასაბერ საკრავთა ორკესტრს; ჩინური ცირკის ოსტატებს და ბევრ სხვას.

ფესტივალის წარმატებას ხელს შეუწყობენ აგრეთვე გამოჩენილი მსახიობები, რომლებიც ჩამოვლენ ბუქარესტში, რათა თავიანთი ხელოვნებით, თავიანთი ნიჭით შეიტანონ წვლილი მსოფლიოს ახალგაზრდობის მეგობრობის განმტკიცების საქმეში. აქ გამოვლენ ცნობილი ჰოლანდიელი დირიჟორი ვან გაფელიუ, მევიოლინე მიშელ ბრიუსინო, გამოჩენილი შვედი ხალხური მომღერალი ბილენგრენი და ელში ბიერნბერგი და ბევრი სხვა.

მრავალ კონცერტს გამართავენ ფესტივალისათვის სპეციალურად შექმნილი ანსამბლები. მათ შორის არიან ფინეთის სიმფონიური ორკესტრი, ბუქარესტის საწარმოთა გუნდი 2 ათასი კაცის შემადგენლობით, იაპონური ანსამბლი, ჩილელთა გუნდი, სტუდენტთა ანსამბლი კუნძულ მარტინიკიდან.

ფესტივალის დელეგატები ნახავენ მსოფლიო კინემატოგრაფიის საუკეთესო ნაწარმოებებს.

საფრანგუთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პარიზი, 20 ივლისი. (საკ.). პარიზის რადიო იტყობინება:

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს საღამოს გამოაქვეყნა კომუნიკე ჟან-ჟაკ სერვან-შრეიბერის სტატიასთან დაკავშირებით, რომელიც გაზეთ „მონდში“ დაიბეჭდა. კომუნიკეში ნათქვამია, რომ საზოგადოებრიობის წინაშე იმ მოლაპარაკების ფარული მხარეების გამოაშკარავების საბაბით, რომელიც გასულ კვირას ვაშინგტონში მიმდინარეობდა სახელმწიფო მდივან დალესსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჟორჟ ბიდოს შორის, ეს სტატია ყალბად გადმოსცემს ამ მოლაპარაკების მსვლელობას. კომუნიკე პროტესტს აცხადებს სერვან-შრეიბერის მტკიცების წინააღმდეგ, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ ბიდომ დალესთან დადო პაქტი, რომლის თანახმად მოლაპარაკება ამერიკის დახმარების გაწევის შესახებ იწარმოებს უშუალოდ ვიეტნამთან, საფრანგეთი კი დაკარგავს პოლიტიკურ კონტროლს ინდოჩინეთში არსებული მდგომარეობისადმი და ამისთვის განთავისუფლდება ინდოჩინეთის ომთან დაკავშირებული სამხედრო და ფინანსური ტვირთისაგან.

იმპერიალისტთა აგენტების გაძევება ჩინეთიდან

შანხაი, 21 ივლისი. (საკ.). როგორც გაზეთი „ძიფანციბაო“ იუწყება, გაითვალისწინარა მოსახლეობის მოთხოვნები, შანხაის სამხედრო-საკონტროლო კომიტეტმა გასცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ჩინეთის ფარგლებიდან გაძევებულ იქნას იმპერიალისტების 5 აგენტი, რომლებიც კათოლიკე მისიონერების ნიღაბს ეფარებოდნენ — ენენვეივა მარტენი, მარი-ან-ლე ბუტეიე, ან-მარი დიუ მოტე-შოშარი, ელზეფ ვერდიე და პიერ პეიარი.

გასაძევებელთა შორის არიან შანხაის „წმიდა მარიამის“ თავშესაფარის ყოფილი ხელმძღვანელები.

გუშინ შანხაიში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2.000-ზე მეტი კაცი, უმთავრესად კათოლიკეები. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სახალხო ხელისუფალთა მოქმედებას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დეპეშა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციისადმი

ვენა, 21 ივლისი. (საკ.). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციას პარიზის 14 ივლისის ამბების გამო გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

14 ივლისის თავდასხმის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წევრები მწუხარებით ხრიან თავს მათი საფლავების წინაშე. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას დაამწუხრა და აღაშფოთა ცნობამ საზიზღარი თავდასხმის შესახებ, რომლის მსხვერპლნი გახდნენ ჩრდილოეთ-აფრიკელი მუშები და პარიზის მშრომელები 14 ივლისის ტრადიციული მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს. პარიზში დაიღვარა მუშების სისხლი. ასი კაცი დაიჭრა, 7 მშრომელი — ალჟირელები და ფრანგები, რომლებიც საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის რიგებში იბრძოდნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ადამიანის თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ, პოლიციელთა ტყვიებმა განგმირა.

14 ივლისის სისხლიანი პროვოკაცია, რომელიც მიმართული იყო პარიზის მოსახლეობისა და უწინარეს ყოვლისა ჩრდილოეთაფრიკელი მშრომელების წინააღმდეგ, აღნიშნულია შემდეგ დეპეშაში, წარმოადგენს მუშათა კლასის გათიშვისა და დაშინების დანაშაულებრივ ცდას. ეს პროვოკაცია წარიმართება იმათ წინააღმდეგ, ვინც იგი მოამზადა; იგი უჩვენებს საფრანგეთის მშრომელებსა და მათს ჩრდილოეთაფრიკელ ძმებს, რომ საჭიროა გააძლიერონ ერთიანობა და მეგობრობა, რაც მჭიდროდ რაზმავს მათ. ეს ცდა იწვევს მთელი მსოფლიოს მშრომელთა, ყველა მშვიდობის დამცველის აღშფოთებას.

პროტესტს გამოთქვამს რა ამ დანაშაულის წინააღმდეგ, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნო ფედერაციის 80 მილიონი წევრის სახელით ალჟირის მშრომელებს უცხადებს სრულ სოლიდარობას უკეთესი ცხოვრებისათვის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის გერმანიის კომუნისტური პარტიის დახმარების პროგრამა

ბერლინი, 22 ივლისი. (საკ.). როგორც ადნ-ის საagენტო გადმოგვცემს, 19 ივლისს ნიო-იზენბურგში (მაინის ფრანკფურტის ახლოს) გაიმართა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენების (ხელოსნები, წვრილი და საშუალო ვაჭრები და მეწარმენი) წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც მოეწყო გერმანიის კომუნისტური პარტიის ინიციატივით. კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინეს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის გერმანიის კომუნისტური პარტიის დახმარების პროგრამა. ამ პროგრამაში 12 პუნქტია, რომლებშიც ჩამოყალიბებულია გერმანიის კომუნისტური პარტიის მოთხოვნები. ეს მოთხოვნები უზრუნველყოფენ დასავლეთ გერმანიაში ხელოსნური წარმოების, წვრილი და საშუალო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების განვითარებას.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ ბონის მთავრობის ოთხი წლის საქმიანობის შედეგები კატასტროფულია დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის. მარტო ხელოსნური წარმოების დარგში საწარმოთა რიცხვი დასავლეთ გერმანიაში 1950-დან 1952 წლამდე შემცირდა 59.494-ით, რაც შეადგენს დასავლეთ გერმანიის ყველა ხელოსნური საწარმოს 7 პროცენტს. განუწყვეტლივ მატულობს ნედლეულის ფასები, იზრდება გადასახადებისა და სხვადასხვა სავალდებულო ანარიცხის ტვირთი, მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემცირების შედეგად მცირდება ხელოსნური და წვრილი სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების ბრუნვა. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების გაძლიერების შედეგად ხშირდება დასავლეთ გერმანიის წვრილ საწარმოთა გაკოტრების შემთხვევები. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ცნობილი იყო, რომ 1949 წლის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში გაჩნდა 200 ახალი მილიონერი. მას შემდეგ მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ამავე დროს ათეულ ათასობით ხელოსნური, წვრილი და საშუალო სამრეწველო და სავაჭრო საწარმო გაკოტრდა.

პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენების ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ბრალი მიუძღვით ამერიკის მორჩილ ბონის ახლანდელ მთავრობასა და ბონის კოალიციურ პარტიებს. ისინი პასუხისმგებელი არიან, ნათქვამია პროგრამაში, იმისათვის, რომ დასავლეთ გერმანიის ეკონომიური ცხოვრება ემორჩილება მონოპოლიებისა და ბანკების მფლობელს და ისინი წარმართავენ მას, ხოლო დასავლეთი მოკუპირებელი სახელმწიფოები დასავლეთ გერმანიაში თავიანთ ყოფნას იმისათვის იყენებენ, რომ შეაღწიონ დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაში და დაუმორჩილონ მისი ეკონომიკა თავიანთ სამხედრო პოლიტიკას.

მოსახლეობის საშუალო ფენებს ძვირად უჯდებათ „ცივი ომი“ და მათ არ ძალუძთ იმ შეზღუდვების, გადასახადებისა და იძულებითი ანარიცხების ატანა, რომლებიც წარმოადგენენ რემილიტარიზაციისა და უდიდესი საოკუპაციო ხარჯების პოლიტიკის შედეგს. ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებებს შემდგომი გაღატაკება მოაქვთ მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის.

ადენაუერის მთავრობა, ნათქვამია პროგრამაში, უგულებელყოფს ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და, კერძოდ, მოსახლეობის საშუალო ფენების ეკონომიურ მოთხოვნებს.

ამიტომ გერმანიის კომუნისტური პარტია მომავალ არჩევნებში იბრძოლებს იმისათვის, რომ ბუნდესტაგში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა შეიცვალოს, რომ ადენაუერის ანტიხალხური მთავრობა დამარცხდეს და მისი ადგილი დაიკავოს პატრიოტულად განწყობილი გერმანელების კოალიციურმა მთავრობამ. ამ მთავრობას თავის პირველ და უახლოეს ამოცანად უნდა მიაჩნდეს შეთანხმების მიღწევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელებს შორის, ყველა იმ შესაძლებლობის გამოყენება და განვითარება, რომელთა მიზანი იქნება გერმანიის გაერთიანება და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. „ცივი ომი“ უნდა შეწყდეს.

მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის გერმანიის კომპარტიის დახმარების პროგრამაში შემდეგ ჩამოყალიბებულია გერმანიის კომპარტიის კონკრეტული მოთხოვნები, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენების სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ადნ-ის საagენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენების წარმომადგენელთა კონფერენციის მონაწილეებმა მოიწონეს გერმანიის კომუნისტური პარტიის ეს პროგრამა, რადგან იგი ხელს უწყობს დასავლეთ გერმანიის ხელოსნებთა და წვრილ და საშუალო მეწარმეთა გაჭირვებული მდგომარეობის დაძლევას.

ჩეხოსლოვაკიის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი

პრაღა, 21 ივლისი. (საკ.). 20 ივლისს ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პრაღაში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ჩამოყრილ იქნა საჰაერო ბუთრები, გავსებული ცილისმწამებლური ფურცლებით, რომელთაც უკმაყოფილება უნდა გამოეწვიათ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მოსახლეობაში და რომლებიც მოუწოდებდნენ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისაკენ.

ეს ახალი ცდაა გავლენა მოახდინონ ჩეხოსლოვაკიის მშრომელ ხალხზე ასეთი პრიმიტიული ხასიათის პროპაგანდისტული საშუალებებით, რასაც, თავისთავად ცხადია, ხალხი ზიზღითა და გულისწყრომით შეხვდა, და ეს ცდა თავისთავად ყურადღების ღირსი არ არის. მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მთელი ეს კამპანია მომზადებულ და განხორციელებულ იქნა ამერიკელი მოქალაქეების მიერ, რომლებიც სპეციალურად არიან გამოგზავნილი ამ მიზნისათვის გერმანიაში, და სახელდობრ გერმანიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა მმართველობაში იმყოფება. ეს არის ამერიკის მთავრობის მიერ თავისი, როგორც მოოკუპირებელი სახელმწიფოს მდგომარეობის უხეშად და ბოროტად გამოყენების ახალი შემთხვევა, რომლის მიზანი შეუთავსებელია გერმანიის შესახებ ოთხმხრივ შეთანხმებასთან, რომლის მიხედვითაც შეერთებულმა შტატებმა იკისრეს შეასრულონ მოკუპირებელი სახელმწიფოს როლი, გამომდინარე იმ ძირითადი პრინციპიდან, რომ გერმანია უკვე არასოდეს აღარ უნდა გახდეს მუქარა საყოველთაო მშვიდობისათვის და თავისი მეზობლებისათვის.

მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპის ამ ახალ დარღვევას განსაკუთრებით დასაგმობს ხდის, არის აგრეთვე ის, რომ იგი მოხდა მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს ხალხები აძლიერებენ თავიანთ ღონისძიებებს მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფის საქმეში. ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა მფარველობით მოწყობილი პროვოკაციის მიზანი კი არის „ცივი ომის“ პოლიტიკის გაძლიერება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ხელის შეშლა.

ამის საფუძველზე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ამ აქციის წინააღმდეგ და მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან აცნობოს, რა ნაბიჯება გადადგმული იმისათვის, რომ აღარ დაუშვან ასეთი პროვოკაციები, რომლებიც მიმართულია ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ და წარმოადგენს უხეშ ჩარევას ჩეხოსლოვაკიის სამინაო საქმეებში.

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის გამო

ლონდონი, 21 ივლისი. (საკ.). როგორც რეიტერის საagენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, ეგვიპტის ხელისუფლებმა აკრძალეს სურსათისა და ზოგიერთი სახეობის საქონლის გადაზიდვა სუეცის არხის ზონაში. აკრძალულია აგრეთვე პროდუქტებისა და საქონლის გამოზიდვა პორტ-საიდიდან, ისმაილიიდან და სუეციდან სპეციალური ნებართვის მიუღებლად.

ახალი შეზღუდვების თანახმად, ეგვიპტელ ვაჭრებს ეკრძალებათ სპეციალური ნებართვის მიუღებლად მიაწოდონ ინგლისის ჯარებს კვების პროდუქტები, აგრეთვე ბენზინი, რკინა, ცემენტი, კაუჩუკი, მინერალები, ქიმიკალიები.

სირიის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ბეირუთი, 21 ივლისი. (საკ.). სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შიშეკლიმ ხელი მოაწერა დეკრეტს სირიის ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ შემდეგი შემადგენლობით.

შინაგან საქმეთა მინისტრი — ნური ალ-იბიში; საგარეო საქმეთა მინისტრი — ხალილ მარდამ-ბეი; სოფლის მეურნეობის მინისტრი — აბდურახმან ალ-ხუნეიდი; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ნაზიმ კაბანი; საზოგადოებრივ საmუშაოთა მინისტრი — ფატჰალაჰ ასიუნი; იუსტიციის მინისტრი — ასად მახასენი; ფინანსთა მინისტრი — ჟორჟ შაჰინი; თავდაცვის მინისტრი — რიფაატ ხანაკანი; განათლების მინისტრი — ანუარ იბრაგიმ-ფაშა; ეროვნული ეკონომიკის მინისტრი — აუნალა ალ-ჯაბრი.

სირიის მთავრობას მეთაურობს პრეზიდენტი.

ამერიკის სამხედრო ესკადრა თურქეთში

სტამბოლი, 22 ივლისი. (საკ.). 22 ივლისს დილით სტამბოლის ნავსადგურში მოვიდა ამერიკის სამხედრო ესკადრა 10 სამხედრო გემის შემადგენლობით, რომელთა შორის არის კრეისერები: „სელემი“ და „ბალტიმორა“, სამი საესკადრო ნაღმოსანი და ხუთი დამხმარე გემი.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა

თბილისი. ხურათზე: მეთევზეები მტკვრის სანაპიროზე თევზაობის დროს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ღვოვის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები.

გასტროლების გახსნისას, 18 და 19 ივლისს, თეატრმა მაყურებელს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის ი. დუნაევსკის მუსიკალური კომედია „ლაღი ქარი“ (რეჟისორი ი. გრინშტუნი, მხატვარი ლ. ფაილენბოგენი, დირიჟორი ი. კილბერგი).

მეორე სპექტაკლად, 20 და 21 ივლისს, თეატრმა დადგა ჟ. ოფენბახის კლასიკური ოპერეტა „ჟიუსტინა ფავარი“ (რეჟისორი ბ. პიკოვსკი, დირიჟორი კ. ბენეი).

გუშინ, 22 ივლისს, დიდგა ნ. რახმანოვის მუსიკალური კომედია „ცისფერი ჰუსარი“ (რეჟისორი უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი დ. კოზაჩკოვსკი, დირიჟორი ი. კილბერგი).

ყველა სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის წამყვანი მსახიობები. მაყურებელი გულთბილად ღებულობს სპექტაკლებს.

საცხოვრებელი სახლები რკინიგზელებს

დიდი ყურადღება ექცევა რკინიგზელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. წელს მარტო ამიერკავკასიის რკინიგზაზე საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია 27 მილიონზე მეტი მანეთი. რკინიგზელებმა უკვე მიიღეს 3.055 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო წლის ბოლომდე მიიღებენ 22 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

ახლახან ვაგზლის მოედანზე თბილისელმა რკინიგზელებმა მიიღეს 44-ბინიანი კეთილმოწყობილი სახლი. რკინიგზელთათვის ახალი მრავალბინიანი სახლები აიგო აგრეთვე სტალინირში, სამტრედიაში და სხვა ქალაქებში.

ახალი მაღაზიები

მთავარმა უნივერმაღმა თბილისში ჩელუსკინელებს ქუჩაზე გახსნა სამრეწველო საქონლის ახალი დიდი მაღაზია. აქ არის მრავალი სახის შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და გალანტერია.

სასურსათო საქონლის მაღაზია გახსნა აგრეთვე „გასტრონომის“ საქართველოს კანტორამ 125 ბინიან კომბინატში ახალ სანაპიროზე.

ტრესტ „თბილპურვაჭრობის“ ახალი სპეციალიზებული მაღაზიები, რომლებიც საკონდიტრო ნაწარმს ყიდიან, გაიხსნა თბილისის კალინინისა და სტალინის რაიონებში. წელს სავაჭრო ორგანიზაციებმა „თბილმრეწვაჭრობამ“, „თბილხილბოსტანვაჭრობამ“, „თბილკვებვაჭრობამ“ და სხვებმა ქალაქის სამრეწველო რაიონებში — ლენინის, სტალინის, კიროვისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში გახსნეს 50-ზე მეტი მაღაზია, რომლებიც ყიდიან სამრეწველო საქონელს, საოჯახო ნივთებს, სასურსათო და კულტურულ საქონელს, წიგნებს, ქიმიკატებს, მზა ტანსაცმელს, ქუდებს, პარფიუმერიას და საგალანტერიო ნაწარმს.

განაპირა ქუჩების კეთილმოწყობა

დიდი მუშაობა ხორციელდება თბილისის განაპირა ქუჩების კეთილმოწყობისათვის. ვაკეში ქვაფენილს აგებენ ქობულეთის ქუჩასა და ქობულთის აღმართზე. წარმოებს უნივერსიტეტის ქუჩისა და მისი ტროტუარების მოასფალტება სტუდენტთა ქალაქიდან კურორტ წყნეთის გზატკეცილამდე. რიყის ქვით იკირწყლება საბურთალოში ვიბორგისა და ბესარაბის ქუჩები.

მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება 26 კომისრის სახელობის რაიონში შაუმიანის ქუჩისა და მის ახლომახლო ბაღდათის, ნავთლუღისა და დეკემბრის ქუჩების კეთილმოწყობაზე. აქ წარმოებს მოასფალტება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესებას. მცხეთისა და მეტალურგთა ქუჩებში წყალსადენის გაყვანა გადაწყვეტს ორჯონიკიძის რაიონის მთიანი ნაწილის მოსახლეობის წყლით მომარაგების პრობლემას.

წელს ქუჩების მოასფალტებასა, მოკირწყვლასა და განათებაზე, წყალსადენისა და კანალიზაციის გაყვანაზე დიახარჯება 13 მილიონ მანეთზე მეტი. (საქ.).

დინამოელ ქალათბურთელთა ასპარეზობა

22 ივლისი. კიროვის სახელობის პარკის ქალათბურთის სტადიონზე გრძელდება დინამოელ ქალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების შეჯიბრება სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

მეოთხე დღის ასპარეზობათა შორის დიდ ინტერესს იწვევდა მოსკოვისა და ტალინის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა მოსკოველთა სასარგებლოდ 20 : 16. მეორე ტაიმი ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით. ტალინის ქალათბურთელებმა გაათანაბრეს ანგარიში. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ — 42 : 42.

პირველ დამატებით დროში მოწინააღმდეგეებმა ორ-ორი ქულით გაზარდეს ანგარიში. დანარჩენ სამ ხუთწუთიან თამაშს შედეგი არ მოუცია. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 44 : 44. ამ გუნდების განმეორებით შეხვედრა გაიმართება დღეს.

ვაჟთა დანარჩენი გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: სარატოვი — ბაქო 48 : 52, თბილისი — კიევი 93 : 43, რიგა — ლენინგრადი 48 : 49.

ქალთა გუნდებმა 22 ივლისის შეხვედრები დაამთავრეს შემდეგი ანგარიშებით: ლენინგრადი — სვერდლოვსკი 36 : 46, კიევი — რიგა 66 : 29, მოსკოვი — ყაზანი 54 : 31, კიშინიოვი — ბაქო 53 : 48.

სპორტის ამბები

3. ძებნიაურის და ა. ხაბურზანიას სსრკ-ის ჩემპიონები



რამდენიმე დღის საინტერესო ასპარეზობის შემდეგ მოსკოვში დამთავრდა უძლიერესთა შეჯიბრება ველოსრბოლაში საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე.

საკავშირო ჩემპიონატში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მოსკოვის, რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, საქართველოს, ლატვიისა და ლენინგრადის ველოსრბოლთა ნაკრები კოლექტივები.

სპრინტერულ რბოლაში 1 კილომეტრზე ადგილიდან გამარჯვებული გამოვიდა მოსკოველი სპორტსმენი რ. ვარგაშკინი, რომელმაც აღნიშნული მანძილი დაფარა 1 წუთსა და 10,4 წამში. ეს დრო ახალ მსოფლიო მიღწევად ითვლება.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა შეჯიბრებამ სალიდერო რბოლაში 50 კილომეტრზე. დასკვნით ასპარეზობაში საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა სპორტის ოსტატებმა ვ. ძებნიაურმა და ა. ხაბურზანიამ (ლიდერი) საუკეთესო მომზადება გამოამჟღავნეს და მძაფრ ბრძოლაში პირველი ადგილი დაიკავეს.

ვ. ძებნიაურსა და ა. ხაბურზანიას მიენიჭათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა მოსკოვის ველოსრბოლთა კოლექტივმა. ჩემპიონებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

სუპერთზე: (მარცხნიდან) ვ. ძებნიაური და ა. ხაბურზანია.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

„ზენიტი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (ლენინგრადი)

21 ივლისს კუიბიშევში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტისა“ და ლენინგრადის „დინამოს“ გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ლენინგრადის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 1.

„სპარტაკი“ (ვილნიუსი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი)

ვილნიუსში სსრ კავშირის პირველობაზე მეორე წრის შეხვედრა მოეწყო ადგილობრივი „სპარტაკისა“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 2 : 0.

სპორტული ქრონიკა

⊙ **სუხუმში დამთავრდა საქართველოს მოზარდ სპორტსმენთა ასპარეზობა ფარიკაობაში.** საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის მოფარიკავეთა კოლექტივმა. ასაკის მიხედვით ფარიკაობის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გამოვიდნენ: ა. კუხიანშვილი, გ. კოსტავა, მ. ქველიაშვილი, ა. ბობოხიძე, ჯ. მაჭავარიანი, მ. სახვაძე და ა. ღარიბოვი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელი სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლა სამწლიანია და ამზადებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტ-ხელმძღვანელ კადრებს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სახით, რომელთაც ენიჭებათ უმცროსი აგრონომის კვალიფიკაცია.

კურსდამთავრებულთაგან წარჩინებული მოსწავლეები, რომლებიც მოხვდებიან გამოვების ხუთ პროცენტში, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში საწარმოო სტაჟის გაუვლელად.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელ სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლაში მიიღებიან: კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოადგილეები, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები, კოლმეურნეობათა გამგეობის წევრები და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის კურსი და აქვთ კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობის სულ მცირე სამი წლის სტაჟი. სკოლაში მისავლინებელ კანდიდატს წამოაყენებს კოლმეურნეობა და ამტკიცებს რაიალმასკომი.

სკოლაში შემსვლელებმა გამოცდები უნდა ჩაბარონ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

განცხადებები მიიღება პირველ სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას ყოველთვიურად 200 მანეთს, ამავე დროს დამატებით ყოველთვიურად მიეცემათ 200 მანეთამდე და დაეწერებათ 20-35 შრომადღე იმ კოლმეურნეობაში, რომელმაც ისინი მოავლინა.

სკოლას აქვს სასადილო, აბანო-სამრეცხაო და კომუნალური მომსახურების სხვა ობიექტები.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას სკოლაში მიმღები კომისიის სახელზე პირადად ან ფოსტით შემდეგი საბუთების დართვით: ა) განათლების მოწმობა (დედანი), ბ) დაბადების მოწმობა (დედანი), გ) კოლმეურნეთა საერთო კრების ოქმის ამონაწერი სკოლაში მივლინების შესახებ, რაიალმასკომის მიერ დამტკიცებული, დ) ავტობიოგრაფია, ე) ორი ფოტოსურათი, ვ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ზ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, თ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ხოლო პასპორტი უნდა წარმოადგინონ გამოცხადებისას, ი) ცნობა კოლმეურნეობიდან ხელმძღვანელ სამუშაოზე ყოფნის შესახებ, სამუშაო დროის ჩვენებით და დახასიათებით.

ცნობები გაიცემა და განცხადებები მიიღება სკოლის კანცელარიაში ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირადღისა.

მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი საგურამო. სასოფლო-სამეურნეო